ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali-Taoba

[esif,fsb7 !$ bdybcb7 @)!@ 1140 (5830) afcb5 #) stshb

14 ივნისიდან!
დიდი საზაფხულო აქცია
ქართული მწერლობის საუნჯე
ფასი: 5 ლარი

ახალ თაობასთან“ ერთად

ბიძინა ივანიშვილი დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს

გვ.3

ქართული ოცნების ლიდერს ვერტმფრენის ლიცენზიაც ჩამოართვეს

კახა კუკავა: სააკაშვილი რაღაცას გაიჩალიჩებს“

გვ.4

ნაციონალებმა მაჟორიტარების დასახელება დაიწყეს

გვ.4

ოპოზიციას არჩევნებისთვის ბოიკოტი უნდა გამოეცხადებინა

გვ.7

ეკა ბესელია: ხელისუფლება ამომრჩევლის მოსყიდვას ცდილობს“

გვ.6

ხაშურის რაიონში ერთ-ერთ სკოლას კიბე არა აქვს“

გვ.2

გვ.5

ივანიშვილი ყველა სამართლებრივ საშუალებას მიმართავს

გია ხუხაშვილის სახლში მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინეს

გვ.3

ზვიად ძიძიგური: სააკაშვილი სასოწარკვეთილია“

გვ.7

6 ივნისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ნტნხტჰბ
* კფჰბ

ISSN 1987-9385

7 როგორ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაზღვევა

2 გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი გაუჩინარდა

5 ეროვნული გამოცდების დონეზე ძალიან დაინია

4 ლეიბორისტები ბანკების წინააღმდეგ

ხაშურის რაიონში ერთ-ერთ სკოლას კიბე არა აქვს“

თამარ ნინიძე

„ახალი მემარჯვენეები“ აცხადებენ, რომ სერთიფიცირებული მასწავლებლები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან. გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ახლების“ ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ ყურადღება გაამახვილა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებაზე საჯარო სკოლების მასწავლებლების შრომითი ანაზღაურების შესახებ.

ფიქრია ჩიხრაძე

ახალი ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩაბარებს მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდას, უნდა ჰქონდეს სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა და მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი ყოველთვიურად 75 ლარის ოდენობით.

ფიქრია ჩიხრაძის აზრით, თუ მაგალითისთვის ავიღებთ ქართულ ენასა და ლიტერატურას, სადაც სრულ განაკვეთად მიჩნეულია 18 საათი, სახელფასო დისკრიმინაცია აშკარად არის გამოხატული.

დაწყებითი კლასების ზემოთ საქართველოს სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ეთმობა კვირაში ხუთი საათი. შესაბამისად, ქართულის მასწავლებლისთვის სრული დატვირთვა შეძენიკურად კვირაში ოც საათს აღწევს. სერთიფიცირებული მასწავლებლები ამ შემთხვევაში იღებენ განსაზღვრულ დანამატს 75 ლარის ოდენობით, მაგრამ მათ აღარ უნაზღაურდებათ 18 საათს ზემოთ ჩატარებული კაკვეთილების რაოდენობა. ეს კი მათთვის მინიმუმ თვეში 36 ლარს, წელიწადში კი 437 ლარის დანაკლისს შეადგენს.

„ახალ მემარჯვენეებს“ მიაჩნიათ, რომ სერთიფიცირებული მასწავლებლის დანამატი მინიმუმ იმაზე ნაკლები არ უნდა იყოს, რამდენიც განსაზღვრულია კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის სერთიფიკატის მქონე პირთათვის. მით უმეტეს, დაუშვებელია ისეთი დისკრიმინაციული მიდგომა, როცა მასწავლებელი კაკვეთილებს ატარებს, მაგრამ მას ანაზღაურება არ ეძლევა. ახალ რეალობაში, როცა 8+1 სისტემის ამოქმედებას ხელისუფლება უკვე მომავალი წლიდან ჰპირდება საზოგადოებას, სკოლას, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. ამ რეალობაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა მასწავლებლების კვალიფიკაციას, მათ პრესტიჟს და ანაზღაურებას უნდა ჰქონდეს.

ფიქრია ჩიხრაძის აზრით პედაგოგები განსაკუთრებით ქალაქების სკოლებში წნეხის ქვეშ იმყოფებიან იმ პირობებში, როცა მანდატურების სამსახური შემოვიდა, არ ეწინააღმდეგებიან მანდატურებს, თუკი ისინი დისციპლინის მოწესრიგებას უზრუნველყოფენ, მაგრამ მანდატურები რომ მასწავლებლებზე უფრო მაღლა დგანან უფლებებით, სახელფასო ანაზღაურებით, ეს არის ანკეტოტური მდგომარეობა. სამჯერ მეტი ხელფასი აქვთ მანდატურებს პედაგოგებთან შედარებით.

– თუ ვარ ქართულის მასწავლებელი და არ მაქვს ჩაბარებული სასერთიფიკაციო გამოცდები ანუ ჩემი კვალიფიკაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მაგრამ ჩაბარებული მაქვს ინგლისურის და კომპიუტერის ტესტი, მე მეძენება 125 ლარი, თუ მე ჩავაბარებ სასერთიფიკაციო გამოცდას, ამაში მემატება მხოლოდ 75 ლარი. მე შეიძლება ვიცოდე ინგლისური კარგად, მაგრამ არ ვიყო პროფესიონალი და მეტი ანაზღაურება მეძნება. რა ლოგიკაა ეს? – აცხადებს ჩიხრაძე.

პოლიტიკური ნიშნით სკოლებიდან მასწავლებლების განთავისფუფლებას რაც შეეხება, გავრცელდა ინფორმაცია, რომ უნიშრობის საბჭოს მდივნის მოადგილემ გამოაცხადა, რომ ამ პერიოდში არ მოხდება მასწავლებლების არანაირი მოტივით სამსახურებიდან გაშვება, გარდა ადმინისტრაციული დარღვევისა, თუმცა ამ ადმინისტრაციული დარღვევის ქვეშ რა იგულისხმება, არ არის დაკონკრეტებული. ფიქრია ჩიხრაძე ადასტურებს იმას, რომ სკოლები პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან მძიმე წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ.

– ყველა ხელისუფლება ცდილობდა, რომ გარკვეული ბერკეტი სკოლების მეშვეობით ჰქონოდა პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ საბავშვილის ხელისუფლებამ უკვე ჩამოყალიბებულ „შინელში“ გამოწყობილ მდგომარეობად გადაადგა. მანდატურის ინსტიტუტის შემოღებამ სკოლებში ერთი მხრივ დაარეგულირა კრიმინოგენური ვითარება სკოლებში, მაგრამ დღეს ბავშვი დაბრუნდა სკოლაში, მაგრამ განათლება ვერ დაბრუნდა სკოლაში. მანდატურს რომ მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე პედაგოგს, ეს უკვე მეტყველებს ხელისუფლების დამოკიდებულებაზე სკოლებისა და მასწავლებლების მიმართ. მასწავლებლისა და ბავშვის ურთიერთობაში მანდატურს არაფერი ესაქმება, თუ ძალადობრივ ფორმებში არ გადადის, რა მეთოდით ატარებს მასწავლებელი გაკვეთილს, ეს არ უნდა ეხებოდეს მანდატურს, – ფიქრობს ჩიხრაძე.

მემარჯვენეებს თავის დროზე უნდოდათ საარჩევნო კანონმდებლობაში ჩადებულიყო მუხლი, რომლითაც სკოლებში არ უნდა ყოფილიყო საარჩევნო უბნები და მასწავლებლები არ ყოფილიყვნენ საარჩევნო კამპანიის განუყოფელი ნაწილები, მაგრამ ეს ჯერ ვერ მოხერხდა. ახლა მხოლოდ ის მოხდა, რომ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში არ არის საარჩევნო უბნები, ხელისუფლების არგუმენტი ის არის, რომ სოფლებში სკოლების მეტი სხვა შენობები არ არის და მხოლოდ იქ შეიძლება საარჩევნო უბნების დაშვება. მასწავლებელი, რომელიც ბავშვს უნდა ასწავლიდეს თავისუფლებას, თავად ვერ არის თავისუფალი არჩევანში.

– მე ის კადრი არ გადამდის თვალებიდან, როდესაც განათლების სამინისტროში იყო მასწავლებლების შეხვედრა და ზემოთ მეორე სართულზე იარუსზე განლაგებული იყვნენ ფორმაში სამხედრობივით გამოწყობილი მანდატურები. ძალიან მძიმე პარალელია „მონანიების“ ცნობილ კადრთან, ინტელიგენციის შეხვედრა არავიძესთან ზემოთ მყოფ სამხედროებთან. ეს არ არის სკოლისთვის დამახასიათებელი აგმოსფერო. როგორც ჩანს, ბატონმა შაშვინმა კარგად ვერ ამოწერა თავისი შესაძლებლობები სასჯელაღსრულების სამინისტროში. იქ არარაელიზებული იდეები გადმოიტანა განათლების სამინისტროში. სასჯელაღსრულების სისტემასაც სჭირდება სერიოზული ჰუმანიზაცია და მით უმეტეს, განათლების სისტემას, – ფიქრობს ჩიხრაძე.

საკაშვილი სტუდენტებთან და მოსწავლეებთან შეხვედრის დროს ბოლო ხანს ხშირად ახსენებს ე.წ. ცხვირაწეულთა კასტას და სოფლის მცხოვრები ბავშვების დაჩაგრულ მდგომარეობას ქალაქელ ბავშვებთან შედარებით. ამ საკითხზე კომენტარის დროს ფიქრია ჩიხრაძე ფიქრობს, რომ სოფლები სიტუაციის გაცნობის დროს მასწავლებლებთან შეხვედრები იშვიათად ხდება იმის გამო, რომ ისინი დაშინებული არიან. „ახალმა მემარჯვენეებმა“ ბევრი სკოლა ნახეს მძიმე მდგომარეობაში. მარტვილის რაიონის სოფელ ნახუნაოში არის სკოლა, იქ რომ წარწერა არ იყოს, ადამიანი ვერ გაიგებს, ეს ნამდვილად სკოლაა თუ სხვა რამ. იმ სკოლაში ამ დროს სწავლობს 138 ბავშვი და სხვა ბავშვები კი რაიონულ ცენტრში გადაჰყავთ მშობლები. რვაასკომლიანი ძლიერი სოფელია, სკოლა კი არა, რაღაც ნაგებობა აქვს, რომელშიც შინაურ პირუტყვსაც კი ვერ გააჩერებ. ამ დროს ხელისუფლება ლაზიკას აშენებს. ასევეა სოფელ კურზუში დაწყებითი სკოლა მძიმე მდგომარეობაში, რომელსაც რემონტიც კი ვერ უშველის. ასევეა ხაშურის რაიონის სოფელ სავანისუბანში სკოლა, არც კიბე აქვს და არც იატაკი უვარგა.

– მე ვფიქრობ, თავად ხელისუფლება არის დღეს ცხვირაწეული, რომელიც მხოლოდ ტელევიზიით გვესაუბრება ახალშექნილ რეალობაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ეს რეალობა სულ სხვაა. ვნახე ბევრი გარემონტებული სოფლაც, მაგრამ შიგნით არ გარემონტებულა. პოტიომკინის სოფლები და ფასადური პოლიტიკის გამოვლინებაა ასევე განათლების სისტემაში, – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი გაუჩინარდა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს მაია მიმინოშვილს ამავე ცენტრის კვლევების ყოფილი ხელმძღვანელის მამუკა ჯიბლაძის მასთან შეხვედრამდე გაუჩინარებასთან დაკავშირებით ვერსიები არ აქვს.

როგორც „პირველს“ მიმინოშვილმა განუცხადა, ჯიბლაძე მასთან შესახვედრად სახლიდან 13:45 საათზე გამოვიდა, თუმცა შემდეგ გაუჩინარდა.

„მამუკას 11 ივნისს ვესაუბრე და შევთანხმდით, რომ 14:00 საათზე კავსაძის კუთხეში შევხვდებოდით. ის სახლიდან შეხვედრამდე 15 წუთით ადრე გამოვიდა, თუმცა კავსაძეზე აღარ მოსულა. 15:00 საათზე მას მათემატიკოსებთან შეხვედრა ჰქონდა, თუმცა არც იქ მივიდა და მისი ძებნა დავიწყეთ. რომ ვერ მივაგენით, შემდეგ მისმა ოჯახმა პოლიციაში განაცხადა. ვერც ერთ ვერსიას ვერ განვიხილავთ. ერთადერი გვინდა, რომ ცოცხალი დაგვიბრუნდეს“, – განაცხადა მიმინოშვილმა.

მისივე თქმით, მამუკა ჯიბლაძეს ავადმყოფი დედა ჰყავდა და 11 ივნისს, 17:00 საათზე სახლში მისვლას აპირებდა.

„ავადმყოფ დედას მარტო უვლიდა. მამუკა ძალიან აქტიური, უზარმაზარი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი და მათემატიკის საერთაშორისოდ აღიარებული სპეციალისტია“, – აღნიშნა მიმინოშვილმა.

პირველი

მიხეილ სააკაშვილმა ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღო

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილსა და ირლანდიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრს ემონ გილმორს შორის გუშინ, ბათუმში სამუშაო ლანჩი გაიმართა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე იმსჯელეს და ამ კუთხით თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია იუწყება, სააკაშვილმა და გილმორმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზეც გაამახვილეს ყურადღება და კონფლიქტურ ზონებში არსებული სიტუაცია განიხილეს.

ემონ გილმორმა, როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელმა, საქართველოში ორგანიზაციის მისიის მუშაობის აღდგენის შესაძლებლობაზე ისაუბრა.

ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში სამხრეთ კავკასიური ტურნეს ფარგლებში ჩამოვიდა.

ნიუსპრესი

იტალიაში ქართველი ახალგაზრდა დაიღუპა

იტალიაში 19 წლის ქართველი დაიღუპა. როგორც „ნიუსპრესს“ საქართველოს კონსულმა იტალიაში ვახტანგ ანდღულაძემ განუცხადა, ახალგაზრდა მამაკაცი 11 ივნისს ზღვაში დაიხრჩო.

მისივე ინფორმაციით, ახალგაზრდა იტალიის ქალაქ ბარში ლეგალურად ცხოვრობდა, მას საქართველოში ოჯახის ერთი წევრი ჰყავს.

ანდღულაძის განმარტებით, ამ ეტაპზე ცხედარს ექსპერტიზა უტარდება, რომლის დასრულების შემდეგ პროკურორი მისი საქართველოში გადმოსვენების უფლებას გასცემს.

„გადმოსვენების სავარუდო თარიღი ჯერჯჯერობით უცნობია, რადგან ეს გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული და საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ბარში ცხოვრობენ, გადმოსვენებისთვის თანხას აგროვებენ“– განუცხადა „ნიუსპრესს“ კონსულმა.

ნიუსპრესი

დემოკრატიული მოძრაობა“ დიპკორპუსს მივართავს

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ქვეყანაში შექმნილი საარჩევნო და მედიაგარემოს ადეკვატური შეფასებისაკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ განცხადებას „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭო ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, არსებულმა ხელისუფლებამ ტერორი და ზეწოლა როგორც რეალურად ოპოზიციურ პარტიებზე, ასევე მცირედ შემორჩენილ ობიექტურ მედია საშუალებებსა და ჟურნალისტებზე გააძლიერა.

„დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს ცნობით, ბოლო 3 თვის განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტებზე ზეწოლის 30-ზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა, რომელთა გამოძიებას უშედეგოდ ითხოვს როგორც უცხოური, ასევე ქართული უფლებადაცვითი და არასამთავრობო ორგანიზაციები.მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრთა განცხადებით, იმაზე, თუ რამდენად დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას აპირებს დღევანდელი ხელისუფლება ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საზოგადოებრივ მტრანსპორტში აიკრძალა რადიოს მოსმენა, სასამართლომ კი – „გლობალ ტვ“-ის საქართველოს მასშტაბით დამონტაჟებული მისი ყველა ანტენის დემონტაჟი დაიკისრა.

„დემოკრატიული მოძრაობა“ მიმართავს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ადეკვატური შეფასება მისცეს საქართველოში შექმნილ უმძიმეს საარჩევნო გარემოს და ხელისუფლების მიერ ისედაც მცირედ არსებულ დამოუკიდებელ მედია საშუალებებზე პირდაპირ ტერორს“ – ნათქვამია მოძრაობის განცხადებაში და განმარტებულია, რომ დროა, რეალურად ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა საფრთხის თავიდან აცილებისთვის იჩრუნონ და ხმამაღლა განაცხადონ, რომ ისედაც უმძიმესი საარჩევნო გარემო ყოვედღიურად მძიმდება.

ნიუსპრესი

ბათუმის ბულვარის დანაგვიანებისთვის სანქციები მკაცრდება

ბათუმის ბულვარის ტერიტორიის დანაგვიანებისთვის საჯარიმო სანქციები მკაცრდება.

აჭარის ტელევიზიის ცნობით, ბულვარის ტერიტორიაზე სხვადასხვა ნარჩენის დაყრისთვის ან დატოვებისთვის ფიზიკური პირი 50 ლარით, იურიდიული კი 500 ლარით დაჯარიმდება. განმეორებით ჩადენილი ქმედებისთვის დასუფთავების წესების დამრღვევისთვის ჯარიმის ოდენობა იზრდება. სანქციის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 146 პრიმა მუხლი ითვალისწინებს.

,,ყველაფერს აკეთებს ბულვარის ადმინისტრაცია, რომ ბულვარში სილაამაზე და სისუფთავე შენარჩუნდეს, მაგრამ სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე არღვევს დასუფთავების წესებს და ჩვენ იძულებული ვართ მათ მიმართ ჩავატაროთ ადმინისტრაციული ღონისძიებები“, – განაცხადა ბულვარის ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ზურაბ დევაძემ.

მთელი დღის განმავლობაში ბულვარის ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახური კონტროლს საგანგებო რეჟიმში განახორციელებს.

მედიანიუსი

ეუფტბ
ეუფვლბ
!((№ ოკბ
№ ბდკბცმლფყ

ლფვაეყტ.კტ.ბ5 ყბ.ყჯ .ფრ.ეფეტ7 ბეეფ. .ტ.ბბ7 ცკ.ცჯ ეუკ.ეუყეფიდბკბ
ვსდდფბ ბტლფმნ.ჯბ 2 ცკ.ცჯ ეუკ.ეუყეფიდბკბ
ბტლფმნ.ჯბ 2 კეკბ ფც.კეფყბიდბკბ
ბტლფმნ.ჯბც ვჯ.ფლეუბკტ 2 ოჯ.ბტყფ ვფბ.ცეუბიდბკბ

რ.ჯ.ცეგ.ბ.ბ.ბ

ბიძინა ივანიშვილი დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს

ქართული ოცნების ლიდერს ვერტმფრენის ლიცენზიაც ჩამოართვეს

თეა მარხვაიძე

მთელი ერი საქმის კურსშია იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი თითქმის 149 მილიონი ლარით დაჯარიმდა. იმ შემთხვევაში, თუ ის ჯარიმას არ გადაიხდის, მის ქონებას ყადაღას დაადებენ.

ამ საჯარიმოს ივანიშვილი შშვიდად შეხვდა. ირაკლი ალასანიასთან ერთად ის სამეგრელოში მართავდა შეხვედრებს. მისი ადვოკატები განაჩენს ასაჩივრებდნენ. მოძრაველები კი ხელისუფლებას უკანონობაში სდებდნენ ბრალს. ხელისუფლება თავის მხრივ ივანიშვილს ადებდა ხელს. მოკლედ, იყო ერთი აშბავი. ერს კი იმის გაგება აინტერესებდა, როდის და როგორ გადაიხდიდა ივანიშვილი ამ თანხას.

როგორც გაირკვა, ქართული ოცნების ლიდერი ამ ჯარიმის გადახდას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში ასე განაცხადა „გურიანიუსთან“ საუბარში.

– თანხის გადახდას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ, რამდენადაც ეს უკვე აბსურდია. თქვენ უნდა ნახოთ სასამართლოსა და ადვოკატების საუბრის ჩანაწერები – ეს არის ყველაზე საინტერესო. სასამართლო დავიდა „რეალტიკის“, „რუსთავი 2“-ის, „იმედის“ თუგინდ პირველი არხის დონეზე. როგორც ისინი ჭორაობენ, ისე ხდება სასამართლოშიც. მათი ტერმინოლოგიაც ლამის ერთმანეთს ემთხვევა. როდესაც ადვოკატები უსვამენ კითხვას, გვაჩვენეთ კავშირი რაღაც ორგანიზაციასა და ივანიშვილს შორის, მოსამართლე პასუხობს – ეს ხომ ყველამ იცის! რას ნიშნავს ყველამ იცის? – იურიდიულ პირთან მიმართებაში რომ სხვა კანონმდებლობა არსებობს და ფიზიკურთან – სხვა, არაფერს ნიშნავს?! კავშირებს ჭორებით ადგენენ, ისე, როგორც სააკაშვილის ტელევიზიები, რომლებშაც თავიანთი ტერმინოლოგია სასამართლოში გადაიტანეს. მოსამართლე ვალდებულადაც აღარ თვლის, თავს ადვოკატს აუხსნას ვითარება იურიდიულად, კანონის საფუძველზე. ხსნიან მარტივად – ეს ხომ ყველამ იცის, ეს ხომ მისი ძმაა, ამ კომპანიასთან ხომ ადრე ჰქონდა რაღაც ურთიერთობა. ეს ისეთი აბსურდია, რომელიც ყოველგვარ ზღვარს სცილდება, – აღნიშნა „გურიანიუსთან“ საუბრისას ივანიშვილმა.

იმ შემთხვევაში თუ ივანიშვილი დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის, შეიძლება მისი ქონება დაყადაღღონ. მეოცნებეთა ლიდერი ამაზე არ ფიქრობს და ამბობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

„გურიანიუსის“ კითხვაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ჯარიმებს არ გადაიხდის, ასეთი პასუხი გასცა:

– ეს უნდა ვკითხოთ ხელისუფლებას – რას აპირებენ შემდგომში. მე მინდა დავაწყნარო საქართველოს მოსახლეობა და ვუთხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ესენი აგონიაში ჩავარდნილი ხალხია და ყველაფერს აკეთებენ, რომ როგორმე პროცესი შემოაბრუნონ. ეს ხალხი აბსოლუტურ ისტერიკაშია. უფრო სწორად, ერთი კაცია ისტერიკაში და ის კარგად ხვდება, რომ ყველაფერი მიდის დასასრულისკენ, ლოგიკური დასასრულისკენ. ამიტომ, მას უნდა, რომ წინააღმდეგობა გასწიოს, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი განვითარდება ლოგიკურად და ერთი კაცი ვერ შეძლებს საქართველოს მოსახლეობის შეჩერებას.

რაც შეეხება თავად ჯარიმას, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ჯარიმა გუშინ სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება საapელაციო სასამართლოში გასაჩივრა. ადვოკატმა შალვა თადუმაძემ შესაბამისი განცხადება საქალაქო სასამართლოში 13 ივნისს შეიტანა.

მისი თქმით, მომზადებულ საჩივარში სრულადაა მოცემული ის არგუმენტები, რის საფუძველზეც საქალაქო სასამართლოს დადგენილება უნდა გაუქმდეს.

სააპელაციო სასამართლომ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილება 48 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს. შალვა თადუმაძე დაკისრებულ ჯარიმებთან დაკავშირებით კოალიციის ლიდერის განცხადებასაც გამოეხმაურა. შეგახსენებთ, თბილისის საქალაქო სასამართლომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი კონტროლის პალატის აქტების საფუძველზე 126 მლნ 220 ათას 190 ლარითა და 22 მლნ 429 ათას 941 ლარით დაჯარიმა.

საპარლამენტო არჩევნებამდე 4 თვე დარჩა. ამ დროის მანძილზე ბევრი უცნაურობის მომსწრე გავხდებით. ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ძალიან შეუყვარდება ხალხი. დაპირებებსაც არ დაინანებენ. საარჩევნოდ საჩუქრების გაცემა კი ისჯება, თუმცა გააჩნია, ვინ დაარიგებს ამ საჩუქრებს.

კონტროლის პალატის შიშით პოლიტიკოსებს მარტო დაპირებების გაცემა მოუწევთ. დაპირებებზე უარს არც ბიძინა ივანიშვილი ამბობს. ქუთაისში აქციის დროს თქვა, რომ არაფერს დაპირდება ხალხს, რის გაკეთებასაც ვერ შეძლებს. თქვა, რომ კომუნალურ გადასახადებს შეამცირებს. პირობა დადო, რომ პენსია ღირსეული იქნება. კონკრეტული თანხა არ დაუსახელებია. ამის მიუხედავად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის პენსიის 300 ლარამდე გაზრდას აპირებს. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რასაკვირველია.

ბიძინა ივანიშვილი

– მე ძალიან მეშინია ციფრების დასახელების და დაპირებების. როცა პირობას ვდებ, ღამე არ მძინავს – რამე ისე თუ არ გავთვალე, რა გეშველება, რომ დაპირდი და არ გაკეთე. თანაც, არ მჯერა ამათი ციფრების და არ ვიცი, როგორი ბიუჯეტი დაგვხვდება, რაცა მოვალთ. ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ესენი ციფრებს ხატავენ და ბიუჯეტი აბსოლუტურად განსხვავებულია. ამიტომ, მე ისევ აბსტრაქტულ განცხადებას გავაკეთებ – პენსია უნდა იყოს იმდენი, რაც არის საარსებო მინიმუმი. თანაც, ასეთი საარსებო მინიმუმი არა – ეს ძალიან ცოტა და ძალიან ცუდად გათვლილია. სწორად უნდა მოხდეს საარსებო მინიმუმის გათვლა და უნდა იყოს ისეთი პენსია, რომ ადამიანმა, საკუთარ პენსიაზე ნორმალურად შეძლოს ცხოვრება. მე გავაკეთე განცხადება ჯანდაცვაზე და ვთქვი, რომ ყველას დავაზღვევდით. როცა ამ ციფრებს ვთვლიდით, ბევრი კამათი მქონდა. რაღაც ეჭვები დამრჩა და ვფიქრობდი, რომ საკუთარი თანხებით დავაბალანსებდი, თუ ბიუჯეტში არ დაგვხვდებოდა შესაბამისი თანხა. მე ვერ გეტყვით, რომ მოსვლის პირველსავე დღიდან ყველაფერი კარგად იქნება, რამდენადაც ეს არსებულ ბიუჯეტზე იქნება დამოკიდებული. მაგრამ, ჩვენ ძალიან ახლო მომავალში დავიწყებთ ქვეყნის აღორძინებას. ეკონომიკა უნდა აღორძინდეს, სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას, ხალხი უნდა დასაქმდეს – ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. ჩვენ სწორ გზას და სწორ გეზს ავიღებთ, ფუნდამენტს ჩავყრით და არ დავიწყებთ ზემოდან შელებვით, როგორც ესენი აკეთებენ. აღზევების პროცესს ძირიდან დავიწყებთ. ეკონომიკა ისეთი რამაა, რომ ორი-სამი თვე არ ეყოფა – ორი-სამი წელიწადია საჭირო, რომ კარგად გამოჩნდეს ეს ყველაფერი. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, ყველა მიმართულებით განვვითარდეთ და კარგი შედეგი გვექნება. კარგად მესმის, როგორი გაჭირვებულია მოსახლეობა დღეს, მაგრამ ცრუ დაპირებებს ვერ მივცემ. ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მოსვლის შემდეგი დრო. ყველა ქართველს უნდა ვთხოვო მოთმინება, რადგან ეს ყველაფერი შეიძლება არ მოხდეს მყისიერად, მაგრამ ძალიან მალე მოხდება და უახლეს დროში, ჩვენ ყველა ქართველს ღირსეული ცხოვრების პირობებს შევუქმნით, – განაცხადა „გურიანიუსთან“ საუბრისას ბიძინა ივანიშვილმა.

ამ კვირის დამლევს ქართული ოცნება ოზურგეთში გამართავს აქციას. კოალიციის ლიდერების ნაწილი უკვე გურიაში იმყოფება. დასავლეთ საქართველოშია კოალიციის ლიდერიც. ის სამეგრელოს მოსახლეობას შეხვდა. სამეგრელოში მისი ვიიაკი მსუბუქი ექსცესების ფონზე დასრულდა. ნაციონალების მხარდამჭერებსა და ბიძინისტებს შორის მცირემასშტაბიანი შელაპარაკება მოხდა.

ამ ინციდენტის მიუხედავად ივანიშვილმა ადგილობრივებთან თავისი სიტყვა მაინც თქვა. მეოცნებეების ლიდერს მოსახლეობამ პარაზიტების შემოსვევის გამოც შესჩივლა. ცოტა ხნის წინ მემარჯვენეებიც ჩიოდნენ – სამეგრელო და გურია თეორმა პეპელამ, ჭიებმა და მწერებმა გადაჭამესო.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სამი წლის განმავლობაში გურიაში მიწებს მისი ვერტმფრენით წამლავდნენ, რომ მოსახლეობა პარაზიტებს არ შეეწუხებინა, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ კი, ვერტმფრენის ლიცენზიაც ჩამოართვეს, რის გამოც მთელი გურია პარაზიტების შემოსევის მსხვერპლი გახდა.

როგორც ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში მცხოვრებლებთან შეხვედრისას ივანიშვილმა აღნიშნა, შეწამვლამ გურიაში შედეგი გამოიღო და წელს უკვე სამეგრელოში აპირებდა ორი ვერტმფრენით გადასვლას, თუმცა ამის საშუალება არ მისცეს.

მისი თქმით, თავად ხელისუფლებას უამრავი ვერტმფრენი ჰყავს და არაფერს აკეთებს მოსახლეობის დასახმარებლად, ხელით კი პარაზიტებთან გამკლავება შეუძლებელია.

– გურიაში ჭიები სამზარეულოებშიც კი აღწევდნენ და ხალხს სადილის მომზადებაც უჭირდა, რადგან ქვაბებში უცვივდებოდნენ. ორწლინამა შეწამვლამ გარკვეული შედეგი გამოიღო, წელსაც რომ მოწამლულიყო, პარაზიტების დიდი ნაწილი მოლიანად განადგურდებოდა. წელს უკვე სამეგრელოსკენ მივიდოდი ორი ვერტმფრენით, მაგრამ ლიცენზიას არ მაძლევენ. ვერტმფრენს ვიღა ჩივის, ლამის მე თვითონ აღარ შემომიშვან ქვეყანაში. ფაქტია, ხელისუფლებას საერთოდ არ ადარდებს ქართველი გლეხის ბედი. ისეთი განცდა მრჩება, რომ შეგნებულად ცდილობენ სოფლის დაქცევას. მარტო ერთი კაცი, ერთი ოჯახი ბედნიერი ვერ იქნება და ეს მე პირადად გამოვცადე.

როცა შენს მეზობელს, შენს ქვეყანას უჭირს, მშვიდად როგორ უნდა იყო? ბოლომდე ბედნიერი ვერ იქნები. ამიტომ სურვილი გიჩნდება, მისთვის რამე გააკეთო, – განაცხადა ივანიშვილმა.

გია ხუხაშვილის სახლში მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინეს

თბილისში, ამაღლების ქუჩაზე, ექსპერტ გია ხუხაშვილის სახლში, სავარაუდოდ, მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინეს.


გია ხუხაშვილი

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხუხაშვილმა განუცხადა, მისი მეზობლის გასარემონტებელი ბინიდან, რომელიც ერთი სართულით ზემოთ ცხოვრობს, ჭერი იყო ჩამოთხრილი და ჯერჯერობით გაურკვეველი აპარატურა იყო ჩამაგრებული.

„ეს რაღაც აპარატურა ჩემს ზემოთ მცხოვრებმა მეზობელმა აღმოაჩინა და სწორედ მან მაცნობა. აპარატურა მე არ მინახავს. სავარაუდოდ, მოსასმენი აპარატურაა, რომელიც ჩამოთხრილი ჭერიდან იყო ჩემს სახლში ჩამოყვანილი“, – განაცხადა გია ხუხაშვილმა. მისივე თქმით, სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე იმყოფებიან და შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ზურაბ გვენეტაძემ კი „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ადგილზე იმყოფებიან საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები, მიმდინარეობს საქმის შესწავლა და ინფორმაციას შსს მოგვიანებით გააკრცელებს.

ინტერპრესნიუსი

ნაციონალებმა მაჟორიტარების დასახელება დაიწყეს

თეა მარხვაიძე

პოლიტიკური პარტიები თავიანთ მაჟორიტარობის კანდიდატებს ნელ-ნელა ასახელებენ. საქართველოში ყოველ ოჯახზე თითო პარტია მოდის. ამის მიუხედავად, ყველამ იცის, რომ მთავარი ბრძოლა 2 პარტიას — ნაციონალებსა და ქართულ ოცნებას შორის გაიმართება.

შესაბამისად ყველა ელოდება, თუ ვის დაასახელებენ აღნიშნული პარტიები მაჟორიტარებად. ქართული ოცნება პირობას დებს, რომ მაჟორიტარების ვინაობას სრულად ამ დღეებში გაამჟღავნებს.

რამდენიმე მაჟორიტარი უკვე ოფიციალურად დასახელდა. ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი გუბაზ სანაკოძე იქნება, ზესტაფონის – გოგი ქავთარაძე, სამტრედიის – კახი კალაძე, ბაღდათის – არჩილ კბილაშვილი, ტყიბულის – ელისო ჩაფიძე, ხარაგაულის კი – ნოდარ ებანოიძე.

ეს კანდიდატები ქუთაისში გამართული აქციის დროს დასახელდნენ. იმერეთის დანარჩენ რაიონებში მაჟორიტარების შერჩევა ისევ მიმდინარეობს.

მეოცნებეთა პარალელურად მაჟორიტარების კანდიდატები იმერეთის რეგიონში მმართველმა გუნდმაც დაასახელა.

ქუთაისში კენჭს ქალაქის ამჟამინდელი მერი გიორგი თევდორაძე იყრის. ხონში აკაკი ბობოხიძე მოსინჯავს ძალებს. ის ამჟამად ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გახლავთ.

ნყალტუბოში მანდატის მოსაპოვებლად რაიონის საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე მამუკა საღარეიშვილი იბრძოლებს. ზესტაფონში – ამჟამად თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ბუცხრიკიძე. ზესტაფონის მაჟორიტარი ამჟამად კახა გენაძე გახლავთ.

უმაჟორიტაროდ არც თერჯოლას დატოვებენ. იქ მანდატის მოსაპოვებლად თავდაცვის მინისტრის მოადგილე კახა ბუცხრიკიძე გაიჯვება. ხარაგაულში იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი მამუკა ჭყოინიძე იბრძოლებს.

სამტრედიისთვის კომპანია „ვისოლის“ ხელმძღვანელ სოსო ფხაკაძეს მოუწევს ბრძოლა.

ბაღდათის მაჟორიტარობა რაიონის ამჟამინდელ მაჟორიტარს თემურ კოხოძეს სურს. ტყიბულში ძალებს კვლავ პავლე კუბლაშვილი მოსინჯავს.

ვანში, წყისი და რიგით, კენჭი ბეჟან ხურციძეს უნდა ეყარა. მან ამ რაიონში რამდენჯერმე უკვე მოიგო არჩევნები. თუმცა ახლა ვანში ნაციონალები დეპუტატ პაატა ლეყვავას კანდიდატურას წარადგენენ. ხურციძესთან მათ სერიოზული უთანხმოება მოუვიდათ.

ერთ მშვენიერ დღეს ერს ამცნეს, რომ ხურციძე მმართველი გუნდიდან გარიცხეს. გარიცხვა ნაციონალებისგან არავის უკვირს. სხვა თუ არაფერი, გვახსოვს, როგორ გარიცხეს ნაციონალებიდან თავის დროზე პეტრე ცისკარიშვილი. თუმცა, ამით მას ბევრი არაფერი დაუკარგავს.

ხურციძის გარიცხვის მიზეზი ძალიან სასაცილო იყო. თქვეს, რომ ის არ აქტიურობდა. ამ ლოგიკით ნაცმოძში რამდენიმე კაცი უნდა დარჩეს მხოლოდ.

საჩხერეში კანდიდატი მმართველ გუნდს ჯერ არ დაუსახელებია. ამ რაიონში მეოცნებეების გადაწყვეტილებას ელოდებიან. ივანიშვილი ამ რაიონიდან არის წარმოშობით და ეს ბევრ რამეს ცვლის.

თავად ივანიშვილი კენჭს არ იყრის. არის ვარაუდი, რომ კენჭი შესაძლოა მისმა მეუღლემ ეკატერინა ხვედელიძემ იყაროს.

ვარაუდის დონეზე სახელდება ნაციონალების კანდიდატის ვინაობაც. ერთ-ერთი ვერსიით, აქ კენჭი შესაძლოა რაიონის ამჟამინდელ მაჟორიტარს თემურ კოხოძეს სურს. ტყიბულში ძალებს კვლავ პავლე კუბლაშვილი მოსინჯავს.

მმართველ გუნდს უკვე ჰყავს კანდიდატები ყაზბეგსა და ცაგერში. ცაგერში კენჭს სერგო ხაბულიანი იყრის, ხოლო ყაზბეგში – გოჩა მალანია. ამ რაიონებში ქართული ოცნებაც მზადყოფნაშია. ცაგერში კენჭს რაიონის ამჟამინდელი მაჟორიტარი კარლო კოპალიანი იყრის. ყაზბეგში ადგილმბრივთა რჩეული რომან მარსაგიშვილი მოსინჯავს ძალებს.

ახმეტაში მეოცნებეთა კანდიდატი, სავარაუდოდ, ზურაბ ზვიადური იქნება. ნაციონალების რჩეული კი მოქმედი მაჟორიტარი პეტრე ცისკარიშვილი უნდა იყოს.

სავარაუდო კანდიდატური გამოიკვეთა ზუგდიდშიც. მეოცნებეებიდან აქ კენჭს, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანია იყრის. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მმართველი გუნდი აქ როლენდ ახალიანს კანდიდატურას წარადგენს.

მმართველმა გუნდმა თბილისის მაჟორიტარები ყველაზე ადრე დაასახელა. მთაწმინდაზე კენჭს აჩრილ გეგეჭკორი იყრის, საბურთალოზე ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ანდრია ურუშაძე, კრწანისში – დავით საყვარელიძე, ისანში – იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე, სამგორში – ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, დიდუბეში – ეროვნულ-ანტიგიაურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, ჩუღურეთში – ანდრო ალავიძე, გლდანში – ნიკოლოზ ხაჩრიშვილი, ნაძალადევში – დეპუტატი მერაბ სამადაშვილი, ხოლო, ვაკეში – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი.

მეოცნებეებს სათბილისო მაჟორიტარები ჯერ შერჩეული არ ჰყავს. საუბრობენ, რომ მთაწმინდაზე წარადგენენ ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურას.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, დუშეთში მეოცნებეთაგან კენჭს ჟურნალისტი ირმა ინაშვილი იყრის. ნაცმოძს კი იქ დიდი კასტენგი აქვს გამოცხადებული. თავიდან ნუგზარ წიკლაურის კანდიდატურა განიხილებოდა. მერე, რატომღაც გადაიფიქრეს. ახლა აქ კენჭი შესაძლოა რაიონის ყოფილმა გამგებელმა ვასილ ბადაგაძემ იყაროს. რომელმაც ცოტა ხნის წინ თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა.

თიანეთში მეოცნებეთაგან კენჭს ზაქარია ქუჩნაშვილი იყრის. მმართველები ამ რაიონში ჯერ საბოლოოდ არ არიან ჩამოყალიბებული.

გავრცელებული ინფორმაციით, ოცნების გურიაში სამაჟორიტარო ხალხი უკვე შერჩეული ჰყავს.

ჩოხატაურში კენჭს, სავარაუდოდ, ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი, ქეთი დუმბაძე იყრის, ოზურგეთში „ქართული ხმების“ სოლისტი თემურ ჭკუასელი, ხოლო ლანჩხუთში – დავით ბერძენიშვილი.

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ კენჭს შესაძლოა მნიშვნელოვანი მერაბიშვილმაც იყაროს. ერთ-ერთი ვერსიით, ის ძალებს გორში მოსინჯავს.

ლეიბორისტები ბანკების წინააღმდეგ

„ლეიბორისტული პარტიის“ განცხადებით, „საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მევახშე-რეკეტიორი ბანკები მოსახლეობის, წვრილი და საშუალო ბიზნესის დაყაჩაღება-გაკოტრების აგრძელებენ“.

„სესხებზე და კრედიტებზე დაწესებული არარეალურად მაღალი საპროცენტო განაკვეთის შედეგად, 300 ათასი ჩვენი თანამემამულე ბანკების ე. წ. შავ სიაშია შეყვანილი, 70 ათასამდე მოქალაქის ქონება დაყადაღებულია ჩამოსართმევად, 20 ათასი ოჯახი კი უკვე გამოსახლებულია. ამ ცოდვიანი ფულით სააკაშვილი და მისი ოლიგარქიული ბანდა არჩევნებს აყალებს და პირად სამოთხისებურ კეთილდღეობას ინყობს“, – აცხადებენ „ლეიბორისტები“.

„ლეიბორისტები“ მსოფლიო ბანკს, საკალუტო ფონდს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მიმართავენ, „შეაჩერონ ფინანსური ტრანშების გაცემა, ვიდრე ქვეყანაში ფინანსური ამინისტია არ გამოცხადდება და მოსახლეობისათვის ქონების ჩამორთმევა-დაყაჩაღება არ შეწყდება“.

პირველი

კახა კუკავა: სააკაშვილი რაღაცას გაიჩალიჩებს“

ქეთი ხომერიკი

ინტერვიუ თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

– რას ფიქრობთ ხელისუფლების მიერ ბიზნესის შევიწროებაზე?

– სამწუხაროდ, ბიზნესმენებმა თავად შეაჩვიეს ეს ხელისუფლება, აი, ამ რეკეტს და ბიძინა ივანიშვილიც იყო, მათ შორის, ვინც წლების მანძილზე აფინანსებდა სააკაშვილს, მის პროკურატურასა და მის პოლიციას და რატომღაც მაშინ თავში აზრად არ მოსვლია, რომ ოპოზიციური ძალები ან უფლებადამცველები დაეფინანსებინა; დიახ, თავში არ მოსვლია, მხოლოდ ხელისუფლებას აფინანსებდა. დღეს კი, ეს ხელისუფლება ძალიან ჭგავს ცირკის ლომს, რომელსაც, სანამ ბოკვერია, მწვრთნელები აჭმევენ ხოლმე პატარა ხორცის ნაჭრებს მოფცრებით, მაგრამ როდესაც ბოკვერი იზრდება, შემდეგ ყოფილა ხოლმე შემთხვევები, რომ თავისი მწვრთნელიც კი შეუჭამია და ზუსტად იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ანუ ეს ხელისუფლება კარგად გამოკვებეს, კარგად გაალილიერეს, კარგად დაარბევინეს ოპოზიცია, დიახ, კარგად გაგვისწორდნენ ამ ხელისუფლების საშუალებით და ახლა, როდესაც, ასე ვთქვათ, პატარა ბოკვერი გაიზარდა და უკვე დიდი ნადირია, ზუსტად იმ სიმხვეცეს ხსნდის, რასაც სწადის. და ამას დაჯარიმება არ ჰქვია, რა თქმა უნდა, დაჯარიმებასთან არაფერი კავშირი არ აქვს, ეს არის პირდაპირ ,,ქართული ოცნების“ მოსპობის სურვილი.

– მოსპობს კი?

– ახლა, რაც არ უნდა ბევრი ფული ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილს, ეს შეუზღუდავი რაოდენობით არ არის ხომ, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი პრობლემა იქნება მისთვის ეს ფინანსური სანქციები. მსოფლიო სასამართლო პრაქტიკაში, ალბათ, ძალიან იშვიათი იქნება ადმინისტრაციულ საქმეზე ასეთი თანხის მოძიება. გუშინ განვაცხადე კიდეც, გერმანიამ მეორე მსოფლიო ომი რომ წაგო, მთელი ევროპის დანგრევისთვის მისთვის არ დაუკისრებიათ ამხელა ჯარიმა და ეს არის ზუსტად ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

– კლინტონის წასვლისთანავე ქართულ ოცნებაზე ზეწოლა გაძლიერდა...

– კლინტონის წასვლა და მოსვლა აქ არაფერ შუაშია და ეს უნდა გვესმოდეს ძალიან კარგად. ჰილარი კლინტონი და ამერიკის შეერთებული შტატები არ არის საქართველოს მეგობარი, ის არც ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე, მათ საერთოდ არ აინტერესებთ საქართველოში დემოკრატიის საკითხი.

– აბა, რა აინტერესებთ?

– მათ აინტერესებთ საქართველო, როგორც სამხედრო ფორპოსტი, რომელსაც გამოიყენებენ ირანისა და რუსეთის წინააღმდეგ და კიდევ ამ რეგიონში ზოგადად თავისი ინტერესების გასატარებლად სჭირდებათ. ვიმეორებ, დემოკრატიული პროცესი აშშ-ს საერთოდ არ აინტერესებს. მათ აინტერესებთ და სურთ, რომ საქართველოში იყოს სტაბილური პროამერიკული რეჟიმი და სააკაშვილი სანამ იქნება სტაბილური და პროამერიკული, არანაირი საფრთხე ვაშინგტონიდან არ დაემუქრება.

– თქვენი აზრით, რა იყო კლინტონის ვიზიტის რეალური მიზეზი? სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენ კი მოუწოდა ხელისუფლებას...

– აი, ეს იყო, რაც მე ახლა გითხარით. გადახედეთ საერთაშორისო პრესას, არანაირი ეჭვი არ არსებობს, რომ ეს იყო ირანის წინააღმდეგ ჩატარებული კონსულტაციები, მხოლოდ და მხოლოდ, და არანაირ სამართლიან არჩევნებზე საუბარი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ კლინტონის განცხადებებში ვერც ერთი კრიტიკული შენიშვნა ამ ხელისუფლების მიმართ ვერ ვნახეთ.

– კვლავ ივანიშვილის საკითხს დაეუბრუნდეთ, რას აღწევს ამ პოლიტიკით ხელისუფლება და სადამდე წავა? საზოგადოებაში კვლავ უიმედობა და შიშის ფაქტორი ხომ არ დაისადგურებს?

– ეს ხელისუფლება იმის მიღწევას ცდილობს, რასაც ყოველთვის ცდილობდა ყველა არჩევნებზე – მოწინააღმდეგის გაგუდვას. სადამდე წავა? ვფიქრობ, ერთ მილიარდ ჯარიმასაც დააკისრებს ივანიშვილს. რაც შეეხება შიშის ფაქტორს საზოგადოებაში, ამის დანერგვას მარტო ივანიშვილის დაჯარიმების ფაქტორი არ ეყოფა და, საერთოდაც, ხალხს დაშინება ახლა ასე ადვილი აღარ არის. არსებობს ერთგვარი მასის ფსიქოლოგია, ადამიანის დაშინება ადვილია, მაგრამ ხალხის დაშინება ასეთი ადვილი არ არის და ეს მასა არის განწყობილი, გეტყვით როგორც, ძველი თეორია სანახაობის შესახებ ხომ იცით, აი, ასეა საქმე. ხალხს წელს სჭირდება სანახაობა. დიახ, ხალხმა უნდა დაინახოს სააკაშვილის გაგორებული თავი და სანამ ამ სანახაობას არ დაინახავს ან რაიმე სხვა სანახაობას, არ დამშვიდდება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ აქ ასეთი მეთოდებით ხალხს ვერ დააშინებ, პირიქით. სანახაობის ნაწილია ის, რომ ივანიშვილს 145 მილიონი ლარი ჯარიმა დააკისრეს და ეს დაახლოებით იმას უდრის, ამ სანახაობის დროს მოედანზე ხარი რომ გამოიყვანო და წითელი ნაჭერი უფრიალო. ასე რომ, ეს ხალხს დაშინებას და უიმედობაში ჩავარდნას ვერანაირად ვერ გამოიწვევს.

– ამ სცენარით თუ განვითარდება მოვლენები, როგორ პარლამენტს მივიღებთ, მოვა კი ივანიშვილი უმრავლესობით?

– არანორმალური და ყველა ვარიანტში შუალედური იქნება მომავალი პარლამენტი, რთული წარმოსადგენია, ქვეყნის ბედზე მზრუნველი რომ იყოს, იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ რეალურად (თუ არ ჩავთვლით ჩვენს პარტიას თავისუფალ საქართველოს), რომ ეროვნული ინტერესების გამტარებელი ძალები ქართულ პოლიტიკაში თითქმის აღარ დარჩა. ეს არის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან სკამებისთვის და ცდილობენ მიიღონ იმპერიის დედაქალაქის მხარდაჭერა ამ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, პრინციპში, დიდი მნიშვნელობა, ვინ რა თანაფარდობით იქნება წარმოდგენილი, შეიძლება საქართველოს მომავლისთვის არც ჰქონდეს. და საერთოდაც, ხალმბა, პირველ რიგში, უნდა გამოხატოს თავისი ნება, ეფიქრობ, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება დღეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ქართული საზოგადოება დღეს ბევრ რამეზე დუმს და ამბობს, რომ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის და სანამ ჩვენ გავზუმდებით იმაზე, რომ ბათუმში მეჩეთს გვიშენებენ და თბილისში გეი აღლუმებს გვიტარებენ, არ უნდა გვქონდეს პრეტენზია, რომ უკეთეს საქართველოში ვიცხოვრებთ. მარტო პერსონალიები ვერ შეცვლიან ამ ქვეყანაში ვერაფერს. შეიცვალა გამსახურდია შევარდნაძით, შევარდნაძე – სააკაშვილით, სააკაშვილიც შეიცვლება, მაგრამ ქვეყანა მიდის უკან – უკან, ყველა ცვლილება იყო ერთმანეთზე უარესი და ეს ცვლილებაც. თუ ამას არ მოჰყვა იდეოლოგიების, ფასეულობებისა და სისტემის ცვალებადობა, კარგს არაფერს მოიტანს. ივანიშვილს აქვს საზოგადოების ძალიან დიდი მხარდაჭერა, მაგრამ უმრავლესობით მოსვლა მარტო ამომრჩევლის მხარდაჭერაზე არ არის დამოკიდებული იმიტომ, რომ ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ. ამას სჭირდება კიდევ დამატებით სხვა ფაქტორები.

– რა ფაქტორები?

– იცით, ხელისუფლების შეცვლას ავტორიტარულ ქვეყანაში იწვევს არა არჩევნები, არამედ რევოლუცია და ახლა, რამდენად არის ივანიშვილი რევოლუციისთვის მზად, მე ამაში დარწმუნებული არ ვარ.

– რევოლუცია თავშივე გამორიცხა...

– ნუ, მაშინ დიქტატორული რეჟიმები არჩევნებით არ იცვლება.

– თქვენს გეგმებზეც მინდა გკითხოთ, ბურჯანაძესთან ბლოკს ქმნით ბოლოს და ბოლოს?

– ჩვენ ვემზადებით არჩევნებისთვის და გვინდა, რომ ეროვნულმა ძალებმა ამ პარლამენტში პირველად ოცი ნლის შემდეგ შექმნან ფრაქცია. ჩვენ შეიძლება შევქმნათ ბლოკი ნინო ბურჯანაძის პარტიასთან, ეს საკითხი ჯერჯერობით კვლავ განხილვის სტადიაშია.

– თქვენ აცხადებთ, რომ ხმების 15-20% აიღეთ არჩევნებზე, ვისაც ხელისუფლება და ივანიშვილი არ მოსწონს, ჩვენ მოგცემს ხმასო, რატომ თქვენ და არა ლეიბორისტებს მაგალითად?

– მე არ მითქვამს, რომ, მაინც და მაინც, 15-20 %-ს ავიღებთ, თუ რამდენ პროცენტს ავიღებთ, ეს საარჩევნო კამპანიაზეა დამოკიდებული. მე ვამბობ იმას, რომ ბაზა ამომრჩევლებისა, რომელსაც არ მოსწონს პროამერიკული კურსი, არსებობს. ბევრ ადამიანს არ მოსწონს არც სააკაშვილი და არც ივანიშვილი და ის კურსი, რომელიც მათ აქვთ აღებული, რომ როგორ დაუმტკიცონ ვაშინგტონს თავისი ერთგულება და როგორ გაადაგზავნონ ამისთვის მეტი ჯარისკაცი ავღანეთში, როგორ ააშენონ მეჩეთები, როგორ ჩაადარონ უმცირესობების აღლუმები და ეს არის ის კურსი, რომელიც აქვთ მათ აღებული და დარწმუნებული ვარ, ჩვენ საზოგადოებაში არის დიდი პროცენტი, რომელსაც ეს კურსი არ მოსწონს.

– და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება სურთ, რის გამოც თქვენ მოგცემენ ხმას? რა ხდება ისე, რუსულ ბაზრთან დაკავშირებით?

– მათ შორის. არაფერი კარდინალური არ შეიცვლება, სანამ არ შეიცვლება ხელისუფლება, ეს პირდაპირ კავშირშია ხელისუფლების ცვლასთან. რუსულ ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით მექნება უახლოეს პერიოდში კონსულტაციები ონიშენკოსთან. თქვენ იცით, რომ ლიმონათი, ქართული უალკოჰოლო სასმელები უკვე იყიდება რუსეთში და ჩვენი ამოცანაა სპირტიანი სასმელებიც გავიდეს რუსულ ბაზარზე.

– ეს როდისთვის მოხერხდება?

– არჩევნებამდე, ვფიქრობ, მოესწრება.

– დაბოლოს, რუსეთის საფრთხე რამდენად რეალურია? სააკაშვილს, რომ ჰკითხოთ, პუტინს შეხვდება არჩევნებზე...

– მგელი, მგელიო, არსებობს ასეთი ქართული ზღაპარი და მე მგონი, სააკაშვილი იმდენს იზამს, რომ გაიჩალიჩებს. დიახ, გაიჩალიჩებს და მართლაც შეხვდება პუტინს, ოღონდ სად იქნება ეს შეხვედრა, წინასწარ ამის თქმა გამიჭირდება.

ივანიშვილი ყველა სამართლებრივ საშუალებას მიმართავს

რატომ არ ანაღდვლებთ ამომრჩევლები თბილისელ დეპუტატებს

შორენა კოწოწაშვილი

შალვა თადუმაძე

ხელისუფლება და პირადად მოგელაძის უწყება, რომელმაც კონტროლის პალატაში ჟანდარმერიის ფუნქციია იკისრა და საპარლამენტო არჩევნების წინ, როცა საკაშვილის ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის ბედი უნდა გადწყდეს, მმართველი ძალის მთავარი კონკურენტის – ბიძინა ივანიშვილის სერიოზული ფინანსური წნეხის ქვეშ გატარება გადაწყვიტა. ამას ხელისუფლება ასე პირდაპირ, რა თქმა უნდა, არ აღიარებს და აცხადებს, რომ ივანიშვილის გაუთავებელ დაჯარიმებებში არა პოლიტიკური მომენტი, არამედ მილიარდერის მხრიდან სამართალდარღვევებია, რაც ქართული კანონმდებლობისთვის „მიუღებელია“.

მართალია, კონტროლის პალატა დოკუმენტურად ისე წარმოაჩენს, რომ ივანიშვილის სახელთან დაკავშირებული ყველა ფირმა დამნაშავეა და ამომრჩევლების მოსყიდვაზეა ორიენტირებული, მაგრამ კონტროლის პალატას და განსაკუთრებით მოგელაძეს ავიწყდება, რომ ეს ყველაფერი თავად ხელისუფლების ხელწერაა და რომ სწორედ მაჟორიტარი დეპუტატები მმართველი პარტიიდან არიან არაერთგზის შემჩნეული ამომრჩეველის მოსყიდვაში. თუ ამაში მოგელაძეს ეჭვი ეპარება, საჯაროდ თქვას, მრავალი მილიონის (როგორც ტელევიზიით ითქვა, 25 მლნ-ის) ფფლობელი დეპუტატი მერან სამადაშვილი როგორ იგების ზედიზედ ნაძალადევის მაჟორიტარულ ოლქს?

სამადაშვილი და მისი მსგავსი მრავალი მილიონის მშოვნელი ნაცდეპუტატები იქით იყვნენ, ზოგიერთ დეპუტატს კი, რომლებიც თბილისის მერიის მაღალი თანამდებობიდან მოხვდნენ დეპუტატის სავარძელში, საერთოდ არ ანაღდვლებთ თავიანთი ამომრჩევლები. იგივე გიორგი მელაძე სრულიადაც არ წუხს იმაზე, რომ მისი ამომრჩევლები საბურთალოს ოლქიდან მოწამლულ წყალს სვამენ, 3-4 დღეში ერთხელ მიეწოდება მოსახლეობას სასმელი წყალი, რომელიც რეალურად მტქნიკური წყალია, არადა პრეზიდენტიც მიიყვანეს დიღომში იმის დასაპიარებლად, რომ დიღმელებს სასმელი წყალი გაუკეთეს. ასე, რომ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ზოგალიერთ რაიონს დეპუტატები არ ჰყავს.

ეს საუბარი შორს წაგვიყვანს, მით უმეტეს, თუ კუბლაშვილების და სხვათა საქმიანობას შევეხებით. ჯობია, ნაცელიტას დროებით თავი დავანებოთ, რადგან ამ დეპუტატების საქმიანობას არც პროკურატურა შეინწავლის და არც მოგელაძის უწყება აღმოაჩენს მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა ქმედებებში კანონდარღვევებს.

რაც შეეხება მოგელაძის ყურადღების ცენტრში მყოფ კოალიცია „ქართულ ოცნებას“, მისი დაჯარიმება გრძელდება და თანხები მილიონებში გადავიდა.

მოგელაძის უწყების მიერ ამომრჩეველის მოსყიდვის ბრალდებით დაჯარიმდა თავად ბიძინა ივანიშვილიც, რომლის ადვოკატმა შალვა თადუმაძემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ივანიშვილის დაჯარიმების თაობაზე სააპელაციო სასამართლოში უკვე გაასაჩივრა.

როგორც თადუმაძემ განმარტა, ივანიშვილის იურისტებმა საჩივარში ჩამოაყალიბეს ის არგუმენტაცია, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, გააუქმოს უკანონო დადგენილება ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმების შესახებ.

– ბიძინა ივანიშვილთან მიმართებაში, მოქალაქეობის საკითხიდან დაწყებული სახელმწიფო გვიდა სამართლებრივი სივრციდან და იქცევა, როგორც უნდა. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება, – აღნიშნა შალვა თადუმაძემ.

რაც შეეხება იმას, თუ სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, ისინი ჯარიმის ფაქტს საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრებენ.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილი მთლიანობაში 148.650.131 ლარით დაჯარიმა. კუბლაშვილის უწყებამ უკლებლივ დაკაშაყოფილა კონტროლის პალატის მიერ მომზადებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტების საფუძველზე მოთხოვნილი თანხების ანაზღაურება.

ეროვნული გამოცდების დონემ ძალიან დაიწია

შორენა კოწოწაშვილი

პრეზიდენტი საკაკაშვილი საერთაშორისო დონის შეხვედრებზე მუდმივად თავს იწონებდა წარმატებული განათლების რეფორმით. საგარეო პიარის დონეზე ხელისუფლებამ იმასაც მიაღწია, რომ განათლების კუთხით ქვეყანაში განხორციელებული რეფორმა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, პირველ რეფორმად დასახელდა, თუმცა დღეს ირკვევა, რომ ეს „წარმატებული“ რეფორმა, არცთუ ისე წარმატებული ყოფილა და რომ ცალკეულ ხარვეზებთან ერთად, ის დანაშაულებრივ ხასიათსაც ატარებდა და პირადად განათლების მინისტრის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც გამოკვეთს.

ეს ყველაფერი თავად ამ ხელისუფლების მიერ კარგა ხანს იქნებოდა დამალული, „ეროვნული გამოცდების ცენტრის“ ახლა უკვე ყოფილი ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის შვილის და ძმის ივანიშვილის მიერ 27 მაისს გამართული აქციაზე მისული ტელეკამერებს რომ არ დაეფიქსირებინათ. მართალია, ამ აქციას მიმინოშვილის თანამდებობა შეეწირა, მაგრამ მინისტრი დიმიტრი შაშკინი კვლავ გუნდის ერთგულად ითვლება და მის მოხსნას საკაკაშვილი ჯერჯჯერობით არ ცდილობს. არადა, როგორც პრესაში დაიწერა, შაშკინმა სამინისტროს გენინსპექციის წინაშე, რომელმაც ყალბი ატესტატების საკითხი შეისწავლა, მიმინოშვილის განცხადების საფუძველზე, აღიარა საკუთარი დანაშაული.

რა ხდება „წარმატებულ“ ქართულ განათლების სისტემაში, რა საფრთხეები და დარღვევები იკვეთება და კვლავ დარტყმის ქვეშ რჩება თუ არა სახელმწიფო ენა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ქართული ენის სპეციალისტთან, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორ **გოგი გოგოლაშვილთან.**

– ბატონო გოგი, ფაქტია, ქართული განათლების რეფორმა უცხოელების მიერ პირველ რეფორმად შეფასდა. რატომ აღმოჩნდა დღეს ეს წარმატებული რეფორმა პრეზიდენტის კრიტიკის ობიექტი და წარუმატებელი რეფორმა?

– ეს იმიტომ ხდება, რომ ეს რეფორმა, რომელიც ამ რვა წლის წინ დაიწყო, არასოდეს წარმატებული არ ყოფილა, ანუ არც ერთ ეტაპზე. მხედველობაში მაქვს უმაღლესი განათლების რეფორმა. საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა წარუმატებელი იყო პირველი ნაბიჯებიდანვე და ამისთვის ვიბრძოდით. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ბრძოლა წავაგეთ. თავისი გაიტანეს იმ რეფორმატორებმა და შედეგი ის არის, რომ უმაღლესი განათლება და უმაღლესი სასწავლებლების სისტემა დღეს, ასე ვთქვათ, წარუმატებელია. ასევე იყო სასკოლო რეფორმებშიც. ვერ ვიტყვი რომელიმე ეტაპზე, რომ ეს იყო წარმატებული. ერთადერთი, რაც შეიძლებოდა თქმულიყო და რასაც რეკლამას უწევდნენ, ეს იყო ეროვნული გამოცდების შემოღება ანუ მისაღები გამოცდების გაგანა უნივერსიტეტებიდან. თუ ამას ჭეშდა დადებინი შედეგი, შემდეგ ისე წარიმართა ეს პროცესი, ახლა თვითონ ამბობენ, არ ვარგა და უნდა შეიცვალოს და უკეთესი გამოცდები უნდა მოვაწყოთო ანუ სკოლაში უნდა გადავიტანოთო. მოკლედ რომ ვთქვათ, მე მგონი, განათლების რეფორმა წარმატებული არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა. თორემ, ერთ ეტაპზე წარმატებული ახლა გახდა წარუმატებელი, ეს ცოტა ალოგიკურია.

– ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ უმაღლესი გამოცდების უნივერსიტეტიდან გატანით კორუფცია დამარცხდა. მხოლოდ კორუფციის პრობლემა იყო განათლების სისტემაში და მისი აღმოფხვრით განათლებაში დადებითი ტენდენციები დაინერგა?

– კორუფციის დამარცხებისთვის არსებობს კიდევ სხვა გზები და საშუალებები. ამისთვის არსებობს სამართალდამცავი ორგანოები, პროკურატურა, პოლიცია და ა.შ. ანუ იმისთვის, რომ კორუფცია დაამარცხო, მოსპო საგამოცდო სისტემა და საგანმანათლებლო, აი, ასე დაუბარალო, თავისთავად ცხადია, გამართლებული არ იქნება. კი, ბატონო, დავუშვათ, რომ კორუფცია შედარებით ნაკლებია, მაგრამ რა თქმა უნდა, მარტო ეს პრობლემა არ არის. ეროვნული გამოცდების გატანა კარგია, მაგრამ შემდეგ მთავარია, როგორ წარიმართა ეს გამოცდები. პროგრამები იქნება, ტესტების შედგენის პრინციპები თუ სხვა, ეს ყველაფერი პრობლემად იქცა.

– თქვენ ხართ უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის სტატუსით. მაინტერესებს თქვენი პოზიცია, რადგან ფიზიკოსები უნივერსიტეტის პროფესურიდან ამპობდნენ, ეროვნული გამოცდებით უფრო ნაკლებად განათლებული ბავშვები შემოდიანო. თქვენ რას იტყვით ამ საკითხზე?

– მე, რა თქმა უნდა, მათ ვეთანხმები. იმიტომ, რომ ეროვნული გამოცდების დონე ძალიან დაიწია. როგორც იტყვიან, თამასამ ძალიან დაიწია. ამ რამდენიმე წლის წინათ ქართულთან დაკავშირებით მოხდა ძალიან უცნაური რამ: არაქართულ სკოლადამთავრებულებსაც მისცეს უფლება, ქართული ჩაებარებინათ ქართულ სკოლადამთავრებულებთან ერთად. იმის გამო, რომ არაქართულ სკოლებში ქართულს სხვა პროგრამით სწავლობენ, ხოლო ქართულ სკოლებში – სხვა პროგრამით, გადაწყვიტეს, მათთვის ერთი პროგრამა შეეედგინათ და შესაბამისად, რა მივიღეთ? – ქართულ სკოლადამთავრებულებს მოსთხოვეს ძალიან ცოტა, იმდენი, რამდენიც უნდა მოეთხოვათ არაქართული სკოლადამთავრებულებისათვის. ანუ ცოდნის დონეს დაიწია – აუცილებლობამ ცოდნის დონისა, დაიწია. ეს ეხება როგორც ქართულს, ისე სხვა საგნებსაც. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი სკოლა განათლებულ თაობას, ისეთ განათლებულ თაობას, როგორიც იყო 10, 20 მით უმეტეს, 30 წლის წინ, ვეღარ უშვებს.

– ბატონო გოგი, პრეზიდენტის ერთ-ერთი ბოლო განცხადებიდან გამოიკვეთა, რომ რომელი საგანიც სკოლაში არ ისწავლება, ის უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე არ უნდა ჩაბარდეს. საკაკაშვილის პოზიცია ასეთია: ბავშვები უმაღლესში მიიღონ სკოლის გამოცდებით, ალუს უნარების ჩაბარებით. ეს სწორი გადაწყვეტილებაა? ხომ ფაქტია, არც უნარები ისწავლება სკოლებში და ამ საგანს მაინც აბარებენ მისაღებ გამოცდებზე. რა დროს იყო პრეზიდენტი მართალი თავის გადაწყვეტილებებში?

გოგი გოგოლაშვილი

– ჯერ ერთი, უნარები არ ისწავლება და საგანი არ არის. ამიტომ, რაც არ ისწავლება სკოლაში, არ უნდა მოკვეთოხო, უნარები საგანი არ არის. ესეც გასარკვევი საკითხია. რაც შეეხება იმას, რომ საშუალო სკოლის გამოსაშვებმა გამოცდებმა ჩაანაცვლოს ეროვნული გამოცდები, პრინციპში, ეს ცუდი არ არის. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: საშუალო სკოლის გამოცდების იმ სახით ჩატარება, რა სახითაც იგი გასულ წელს ჩატარდა და ჩატარდება წელს და ა.შ., ეს ჩვენ კატასტროფამდე მიგვიყვანს. იმიტომ, რომ მოთხოვნები არის ძალიან დაბალი. შესაბამისად, იმ მოთხოვნების შედეგად მომზადებული ბავშვი და ამ ჩაბარებული გამოცდის შედეგად მიღებული ატესტატით თუ ჩარიცხვა, უმაღლეს სასწავლებლებში მიიყვანს ძალიან დაბალი ცოდნის მქონე ბავშვებს.

– ანუ პრეზიდენტის ეს ინიციატივა განათლების დონეს უფრო დაბლა დასწევს?

– რაზე ვლაპარაკობთ: აქამდე ასე იყო, მინიმალურ ზღვარს თუ გადალახავდა, ანუ ბავშვი ელემენტარულ ცოდნას თუ გამოავლენდა, ან დადებითი ნიშანი რომ მიეღო, ეს საკმარისი იყო ატესტატის ასაღებად. მაგრამ ახლა ვთქვათ, თუ ამ ცოდნით უმაღლესში ჩავრიცხავთ, მაშინ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მე მგონია, შესაბამისად თამასამ უნდა აიწიოს; შესაბამისად, რაღაც ფორმატი უნდა შეიიცვალოს და რაც მთავარია, ასე ერთბაშად ეს არ შეიძლება მოხდეს. მე-9, მე-10, მე-11 კლასებში იყო ასეთი გათვლები, ვთქვათ, 2000 წელს, როცა დაიგეგმა ეროვნული გამოცდები და ა.შ., ეტაპობრივად უნდა იყოს ყველა ამ კლასში გამოცდები. შესაბამისად, მე-12 კლასს რომ დაამთავრებს, მერე ბავშვი უკვე მეტ-ნაკლებად შემზადებულია. ახლა ჩვენ ერთბაშად მე-12 წელს ვთხოვთ ბავშვს, იყოს ძალიან მძიმე დღეში, რაც უნდა ესწავლა 3-4 წლის მანძილზე, ერთ წელში უნდა ისწავლოს. ასე რომ, ერთბაშად ჩვენ ძალიან ვჩქარობთ. ვიღებთ გადაწყვეტილებას და სასწრაფოდ გვინდა შედეგი. შედეგი კი ის იქნება, რომ მხოლოდ გამოცდებზე ორიენტირებული ბავშვი აღმოჩნდება მე-12 კლასელი და არა ცოდნაზე ორიენტირებული.

– რადგან შედეგი ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, რისი შედეგია პრეზიდენტის ეს ბოლო ინიციატივა? – ეს გაკაკეთა საარჩევნო ხმებისთვის თუ მიმინოშვილის, როგორც პროფესიონალი კადრის გათავისუფლება რომ გადაეფარა? როგორც გამოიკვეთა, მიმინოშვილის გათავისუფლების შემდგომ განათლების სამინისტროში დანაშაულის ფაქტებსაც აქვს ადგილი.

– ვერ გეტყვით. აქ რამდენიმე ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, მაგრამ ეს ვარაუდები საქმეს არანაირად არ გამოასწორებს. იმიტომ, რომ შეიძლება ყველა ის კითხვა, რომელიც თქვენ დასვით, იყოს მიზეზი. მოახლოებული არჩევნები იქნება ეს, რომელიმე კონკრეტული პიროვნებისადმი ანგარიშსწორება თუ სხვა. მაგრამ ამის ძიებას ახლა არაფერი აზრი არ აქვს. მთავარია, შედეგი რა იქნება. მთავარია, ეს რეფორმა მოგვიტანს თუ არა ჩვენ სასურველ შედეგს; ამ რეფორმით საგანმანათლებლო სისტემაში დაბრუნდება თუ არა ის დისციპლინა, ის პრინციპები, რაც ჩვენ გვჭირდება ეროვნულ სკოლაში.

– ბატონო გოგი, პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მისი ინიციატორებული განათლების რეფორმა ებრძვის რეპეტიტორების ინსტიტუტს. საკაკაშილმა თქვა, რომ მისთვის მიუღებელია ცხვირაბზუებული რეპეტიტორები, ვისთანაც მხოლოდ ფულიანების შვილები დადიან. რეპეტიტორების პრობლემა არის მნიშვნელოვანი რეფორმის ამ ეტაპზე?

– ნამდვილად ასე არ არის. რეპეტიტორობაზე თავის დროზე აკაკი ბაქრაძემ თქვა: რეპეტიტორობა ჩვენი სკოლის ღვიძლი შვილია. თუ სკოლაში სწავლის დონე აიწევს და სწავლა მიიღებს სერიოზულ სახეს, რეპეტიტორი საჭირო აღარ იქნება. მე სკოლა იმ დროს დავამთავრე, 60-ინ წლებში, როცა რეპეტიტორები ფაქტობრივად არ არსებობდნენ. მაშინ სწავლა იყო თავის სიმაღლეზე. ასე რომ, რეპეტიტორებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება, სასწავლო პროცესს სერიოზული ხასიათი რომ მიეცეს. სხვა გზა ამის წინააღმდეგ არაეფექტური იქნება. ყოველთვის ზდება ხოლმე პრობლემის ვიღაცაზე გადატანა. წმინდა პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებებია, რომელიც მერე საქმეს აფუჭებს.

– ანალოგიურად გაფუჭა საქმე შაშკინის გადაწყვეტილებამ, პოლიტიკური მოტივაციით, ყალბი ატესტატების გაცემასთან დაკავშირებით?

– მაგაზე კომენტარის გაკეთება შეიძლება სხოოვთ იურისტებს. ეს, რაც მოხდა, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, შეიძლება თუ არა ჩაწერილმა ბავშვმა მიიღოს ატესტატი და ა.შ. ეს არის ჩემთვის სრულიად გაუგებარი. ამიტომ ამაზე სერიოზული მსჯელობა და კამათი არ შეიძლება. ეს არის სამართალდამცავების გასარკვევი და კომენტარები მათ აკეთონ: ნორმალურ სახელმწიფოში შეიძლება თუ არა ყალბი დოკუმენტების ოფიციალურად გაცემა.

– განათლების მინისტრის პასუხისმგებლობა ამ სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტის გამო, რაც მაია მიმინოშვილმა გამოკვეთა და რაც გენინსპექციამაც იცის, არ უნდა დასმულიყო?

– განათლების მინისტრი შაშკინი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. ის, რაც ახლა მოხდა, თავისთავად ცხადია, სერიოზული შეცდომაა. ის, რაც მათ უნდათ, გაკეთონ, რომ სკოლაში გადაიტანონ ეროვნული გამოცდები, ესეც სერიოზული შეცდომაა. სერიოზული შეცდომაა ის, რაც შაშკინის პერიოდში მოხდა, პირველ კლასში უცხო ენის სწავლების დაწყება. ასევე სერიოზული შეცდომაა ისიც, რომ საქართველოში რუსულს ჩაენაცვლა ჩინური. იმდენ შეცდომას უშვებს ჩვენი მინისტრი, ესეც ალბათ უკვე სხვა მსჯელობისა და სხვანაირი განხილვის საგანი უნდა გახდეს.

– ანუ რეფორმის ამ ეტაპზეც განათლების სისტემის რეფორმირება კვლავ ხარვეზებით გრძელდება?

– ხარვეზები ამას არ ჰქვია, ამას უფრო შეცდომები ჰქვია და თან სერიოზული შეცდომები. ხარვეზი მსუბუქი დარღვევაა, რომლის გამოსწორებაც შეიძლება. ეს არის სერიოზული შეცდომები, რომელიც სერიოზულ ზიანს მოუტანს ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას და ჩვენს საზოგადოებას.

– ეს შეგნებული შეცდომაა მინისტრისა და მმართველი გუნდის მხრიდან?

– როცა ამას ეძახიან გათვლილს და დაანგარიშებით კეთდება ეს, რაც გინდა, ის უწოდეთ. ფაქტია, შემთხვევით არ კეთდება. ყველაფერი იგეგმება და მერე კეთდება. როცა საპირისპირი აზრი გამოითქმის ყველა ამ ფაქტზე, რომელიც მე ჩამოვთვალე, იყო სერიოზული არგუმენტირებული კრიტიკა. არავინ ეს მხედველობაში არ მიიღო. პატარა ბავშვებივით იქცევიან – მე ვთვლი ასე და ამას გავაკეთებ. მერე კი გაფუჭებული საქმის გამოსწორება, იოლად არ ხდება.

ეკა ბესელია

ეკა ბესელია: ხელისუფლება ამომრჩევლის მოსყიდვას ცდილობს“

ნათია ხურცილავა

— ბიძინა ივანიშვილი სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს, — განაცხადა კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ეკა ბესელიამ „პრესა ჯი-ტვ“-ს პრესკლუბში.

— ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება სწორია, რადგან ხელისუფლების უკანონობის გამო ბიზნესმენი არ აიღებს უკანონო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებას, — აბობს ბესელია.

რაც შეეხება სანქციებს, ეკა ბესელიას თქმით, ჯერჯერობით უცნობია, რა სანქციებს დააკისრებს ივანიშვილს სასამართლო, თუმცა დაყადაღებასთან მიმართებაში საქართველოს კანონი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება და არა – მის ფარგლებს გარეთ.

– არ ვიპირებ, აღსრულების ბიუროს ვუკარნახო, რა უნდა მოიმქმედოს ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვარო. არ ვეელოდით სააპელაციო სასამართლოსგან, რომ მიიღებს კანონიერ გადაწყვეტილებას, რადგან სასამართლოები ხელისუფლების პოლიტიკური ანგარიშსწორების ღონისძიებებში არიან ჩართული, ეს ყველაფერი ეკა ბესელიამ „პრესა ჯი-ტვ“-ს პრესკლუბში.

ეკა ბესელიას ინფორმაციით, ადვოკატ ეკა ბესელიას მიხეილ სააკაშვილს ამომრჩევლთა მოსყიდვაში ადანაშაულებს და კონტროლის პალატისთვის აპირებს მიმართვას.

როგორც ეკა ბესელიამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, მიხეილ სააკაშვილმა „მოქალაქეთა პილიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი დაარღვია, როდესაც ბაღისა და სკოლის პედაგოგებს შეხვდა და დასაჩუქრა. – ბაღის აღმზრდელები და პედაგოგები ერთი ბოთლი ღვინითა და საჩუქრით გამოდიოდნენ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონით, ეს ადმინისტრაციული წესით ისჯება და ითვლება ამომრჩეველის მოსყიდვად სწორედ იმ სტანდარტით, რომელიც დაადგინა კონტროლის პალატამ და სასამართლომ. სააკაშვილმა პირდაპირ ჩაიდინა ამომრჩეველთა მოსყიდვა. ასეთი ტიპის მოსყიდვის ფაქტები ყოველდღიურად გვჭედება ქვეყანაში, თუმცა კონტროლის პალატა „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელს აფარებს და სანქციებს მხოლოდ „ქართული ოცნების“ მიმართ იყენებს. მე მქონდა კონსულტაციები და ვაპირებ მივმართო კონტროლის პალატას, რომ რეაგირება მოახდინოს ამ ფაქტებზე, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

არასამთავრობოები კონტროლის პალატას სუბიექტურობაში ადანაშაულებენ

ნათია ხურცილავა

კამპანია „ეს შენ გეხება“ წარმომადგენლები წინასაარჩევნო დარღვევებზე საუბრობენ და ხელისუფლებას ობიექტური და თანმიმდევრული რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

კამპანია „ეს შენ გეხება“ კონტროლის პალატის სუბიექტურ და მიკერძოებულ მიდგომაზე საუბრობს პარტიების მონიტორინგის პროცესის დროს.

როგორც კამპანიის წარმომადგენლებმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადეს, უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატის სასამართლოსა და პროკურატურის ქმედებები პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ სუბიექტურობითა და არათანაბარი მიდგომებით ხასიათდება. აღნიშნული უწყებების მიერ პარტიის წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა მიმართ წაყენებული ბრალდებები და გამოყენებული სანქციები ხშირ შემთხვევაში ცალმხრივად და არასაკმარისად დასაბუთებულ ფაქტებს, ან ვარაუდებს ეყრდნობა.

– უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატის, სასამართლოსა და პროკურატურის ქმედებები პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ სუბიექტურობითა და არათანაბარი მიდგომებით ხასიათდება. აღნიშნული უწყებების მიერ პარტიის წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა მიმართ წაყენებული ბრალდებები და გამოყენებული სანქციები, ხშირ შემთხვევაში, ცალმხრივ და არასაკმარისად დასაბუთებულ ფაქტებს ან ვარაუდებს ეყრდნობა. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სანქციათა შეფარდების პროცესი დაჩქარებულ ტემპში მიმდინარეობს, რაც ხელს უშლის საქმის გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევასა და დაცვის უფლების სათანადო განხორციელებას. – განაცხადა კამპანია „ეს შენ გეხება“ სახელით ნინო ლომჯარიამ.

კამპანია „ეს შენ გეხება“ სამართალდამცავი უწყების მხრიდან სანქციათა შეფარდების დაჩქარებულ ტემპებზე საუბრობენ.

– სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სანქციათა შეფარდების პროცესი დაჩქარებულ ტემპში მიმდინარეობს, რაც ხელს უშლის გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევასა და დაცვის უფლების სათანადო განხორციელებას, – აცხადებენ კამპანიის წარმომადგენლები, რომელთა თქმითაც, მიუხედავად მათი ერთსულოვანი მოთხოვნისა, რომ საზოგადოებას ჰქონოდა წვდომა პლურალისტურ მედიაზე, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების გზები დღითიდღე იზღუდება და ხშირ შემთხვევაში ის პოლიტიკური მოტივით არის განპირობებული. აღნიშნულიდან გამომდინარე კამპანიის მონაწილე ყველა არასამთავრობო და მედია ორგანიზაცია საქართველოს პრეზიდენტს, კონტროლის პალატას, სასამართლო ხელისუფლებას, პროკურატურას და უწყებათაშორის კომისიას მიმართავს და მოუწოდებს, რომ საპარლამენტო არჩევნები სამართლიან და მშვიდ გარემოში ჩატარდეს, ასევე პოლიტიკური პროცესების სტაბილურობა უზრუნველყონ.

– მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ზომები სამართლიანი წინასაარჩევნო და მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, წინაღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეჭვის ქვეშ დადგეს მომავალი საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა. ასევე, მივმართავთ კონტროლის პალატას, შეწყვიტოს არათანაბარი და სუბიექტური მიდგომა პარტიების მონიტორინგის პროცესში. ერთნაირი ოპერატიულობით გამოირკვიოს და ადეკვატური პასუხისმგებლობა მოითხოვოს არა მარტო ოპოზიციური პოლიტიკური ძალის, არამედ მმართველი პარტიის წარმომადგენელსა და მხარდამჭერთა სამართალდარღვევებზე. მივმართავთ სასამართლო ხელისუფლებას, მოახდინოს საქმის გარემოებების სრულყოფილი ობიექტური და ყოველმხრივი გამოკვლევა. უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა, მისცეს მას სათანადო დრო სასამართლო პროცესისთვის მოსამზადებლად და მტკიცებულებათა წარსადგენად. მივმართავთ პროკურატურას ოპერატიულად შეისწავლოს მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული დანაშაულის ნიშნების შემცველის ფაქტები, რომლებიც მოქალაქეთა მიმართ პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებასა და მედიის წარმომადგენელთათვის საქმიანობის ხელის შეშლას ეხება. ასევე, მივმართავთ უწყებათაშორის კომისიას, მინიტრაციული რესურსის გამოყენების პოლიტიკური ნიშნით ზეწოლისა და მუქარის გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით, გასცეს რეკომენდაციები შესაბამის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის თაობაზე, – ასეთია კამპანია „ეს შენ გეხება“-ს მიმართვის შინაარსი, რომლის ადრესატიც ხელისუფლებაა.

კამპანია „ეს შენ გეხება“-ს წარმომადგენლების განცხადებით თუ ხელისუფლება მათ რეკომენდაციებს არ გაითვალისწინებს არ გამორიცხავს, რომ ეჭვქვეშ დადგეს მომავალი საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა.

– თუ ხელისუფლება დაუყოვნებლივ არ გაატარებს ზომებს, რათა არსებული სიტუაცია შეცვალოს და შექმნას სამართლიანი წინასაარჩევნო გარემო, წინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს მომავალი საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა. – განაცხადა „სამართლიანი არჩევნების“ თავმჯდომარე ნინო ლომჯარიამ.

საქართველოში მასტ ქერისა და და მასტ ოფფერ-ის პრინციპების დანერგვასთან დაკავშირებით კამპანია „ეს შენ გეხება“ წარმომადგენელთა ინიციატივას 12 კვალიფიციური პოლიტიკური პარტიიდან 11 მხარს უჭერს.

როგორც კამპანიაში შემავალი არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, აღნიშნულთან დაკავშირებით პარტიებმა ერთობლივი განცხადება შეიმუშავეს, რომელშიც საკუთარი მხარდაჭერა ხელმოწერით დაადაფიქსირეს.

– საქართველოში მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების კონკურენტუნარიან გარემოში ჩასატარებლად, სამოქალაქო საზოგადოებასა თუ საერთაშორისო თანამგზავრობის მხრიდან დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ქვეყნის მოსახლეობისთვის ინფორმაციაზე ხელმისწვდომობისა და პლურალისტური მედიის ხელშეწყობის საკითხი. – აღნიშნულია კამპანიის განცხადებაში.

კამპანია „ეს შენ გეხება“ წარმომადგენელმა ეკა გიგაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, კვალიფიციური სუბიექტიდან რომელი პარტია არ უჭერს მხარს აღნიშნულ წინადადებებს.

– „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ აწერს აღნიშნულ განცხადებას ხელს. მათი საჯაარო არგუმენტი, როგორც ცნობილი არის ბიზნესში ჩაურევლობა. რამდენიმე კვირის წინ ალტერნატიული წინადადებები ჩვენ პარლამენტში შევიტანეთ. ძირითადი მოთხოვნა მედია გარემოს გაუმჯობესებას ეხებოდა. კერძოდ, მასტ ქერისა და მასტ ოფფერის პრინციპების დანერგვას. ამ პრინციპების განხორცილების შემთხვევაში მოსახლეობას საშუალება ექნება მრავალფეროვანი ინფორმაცია მიიღოს, მაგრამ ჩვენ რამდენიმე შეხვედრა გვქონდა პარლამენტში, კონკრეტულად პაველ კუბლაშვილთან და მისგან ამ მოთხოვნებზე არასახარბიელო პასუხი მივიღეთ, ისინი არ არიან მზად, რომ ეს წინადადებები განიხილონ. – განაცხადა ეკა გიგაურმა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს დირექტორმა.

– შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიზიარებთ ქართული არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების მიერ პარლამენტში შეტანილ საკანონმდებლო წინადადებას, ქართულ კანონმდებლობაში ე.წ. მასტ ქერისა და მასტ ოფფერ-ის პრინციპების დანერგვის თაობაზე. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, პარლამენტის მხრიდან აღნიშნული ინიციატივის გაზიარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მრავალფეროვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, – ნათქვამია პარტიების ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ „კონსერვატიული პარტია“, „რესპუბლიკელები“, „ქრისტიან-დემოკრატები“, „ახალი მემარჯვენეები“, „თავისუფალი დემოკრატები“, „საქართველოს გზა“, „ეროული ფორუმი“, „ხალხის პარტია“, „ევროპელი დემოკრატები“, „მრეწველები“ და „ლიბერალისტები პარტია“.

ნინო ლომჯარია, „სამართლიანი არჩევნების“ თავმჯდომარე:

– ლეგიტიმურობის საკითხი მხოლოდ არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევებით არ დგება. არჩევნების შეფასებაზე ძალიან დიდი გავლენა აქვს თუ როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო პერიოდი და როგორი იყო გარემო, რამდენად თანასწორი და თავისუფალი. ის ტენდენციები, რასაც ბოლო პერიოდში თვალყურს ვადევნებთ გვაძლევს საფუძველს, რომ განვაცხადოთ პროკურატურის, სასამართლო ხელისუფლებისა და კონტროლის პალატის მხრიდან პარტიების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედებები ხშირ შემთხვევაში სუბიექტური და არათანმიმდივრული. ხშირად ბრალდებები, რომელიც არის წაყენებული პარტიებისთვის სათანადოდ დასაბუთებული არ არის. არ ეფუძნება სათანადოდ გამოკვლეულ ფაქტობრივ გარემოებებს ან სასამართლო პროცესზე არ ხდება მათი გამოკვლევა, რათა სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას ბრალდების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. მხარეებს არ ეძლევათ საშუალება, რომ დაცვის უფლება განახორციელონ სრულყოფილად. ასევე ის ფაქტი, რომ მედია გარემო დღითიდღე მძიმდება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი უფრო და უფრო მძიმდება ქვეყანაში ნაცვლად იმისა, რომ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოქალაქისთვის პლურალისტული მედია. თუ ეს ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდა, მაშინ ჩვენ ვერ ვისაუბრებთ იმაზე, რომ ქვეყანაში თანასწორი საარჩევნო გარემო არის.

— უცნოელი დამკვირვებლები თუ აკეთებენ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს და თუ აქვთ მათ ეს ინფორმაცია?

– ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს ვხვდებით და რა თქმა უნდა ამ საკითხებზე აქცენტებზე გავაკეთებთ. ეუთოს სადამკვირვებლო ჯგუფი წინასაწარი სადამკვირვებლო მისიით არის ჩამოსული. ასევე საერთაშორისო საზოგადოება დაინტერესებულია მსგავსი ტიპის ინფორმაციით.

თამარა ჩუღოშვილი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე:

— ბიძინა ივანიშვილის 150 მილიონი ლარით დაჯარიმების ფაქტთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ, არის თუ არა ეს კონტროლის პალატის მხრიდან მიზანმიმართული ქმედება?

– ჩვენ სასამართლო სხდომებს დავესწარით. ძალიან ცხადი იყო ის, რომ მხარეს დრო მოსამზადებლად არ ჰქონდა, რადგან საქმიად მოცულობითი საქმე იყო, დაახლოებით 600-გვერდიანი. ამ დროსი დაცვის უფლების რეალიზება რთული ან წარმოუდგენელია. თვითონ პროცესი პრობლემურად გამოიყურებოდა, რადგან პროცესზე მტკიცებულებები არ იყო წარმოდგენილი, რაზეც კონტროლის პალატა საუბრობდა. ჩვენ ვაპირებთ გავეცნოთ საქმის მასალებს და შემდეგ განცხადების გავრცელებას. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ოდენობის თანხის ჯარიმის გამოყენება წარმოუდგენელია. გასაკვირია, რომ კანონი მკაცრია, მაგრამ ასეთი თანხით დაჯარიმება წარმოუდგენელია. ეს არ არის ადმინისტრაციული სანქცია, ასეთი მკაცრი პასუხისმგებლობის ზომები და სანქციები სისხლის სამართალშიც არ არის. ძალიან აბსურდულ ვითარებაში ვართ. სუბიექტურობის განცდა არის კონტროლის პალატის მიმართ იმიტომ, რომ როდესაც „ქართულ ოცნებაზე“ ან ივანიშვილზე არის საუბარი, მაშინ ძალიან აქტიურია სანქციების გამოყენებაში კონტროლის პალატა და სწრაფად აკეთებს ამას, მაგრამ როდესაც მაგალითად „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებულ ორგანიზაციებზე არის საუბარი, ან არ ხდება სათანადოდ რეაგირება, ან საკმაოდ გაჭიანურებულია და ეფექტური არ არის.

ზვიად ძიძიგური: სააკაშვილი სასოწარკვეთილია“

ბიძინა ივანიშვილი დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს. ის ამ ყველაფერს ძალიან შეშფოთდა უყურებს. დღეს რომ ივანიშვილმა 150 მილიონი გადაიხადოს, ხვალ 500 მილიონს გადაახდევინებენ და ზეგ მილიარდს, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ზვიად ძიძიგური.

ნონა ცაბაძე

ზვიად ძიძიგური:

– ხელისუფლებამ ბოლომდე დაკარგა წონასწორობა. მან ვერანაირი გამოსავალი ვერ ნახა. ის რაც დღეს ხდება ბიძინა ივანიშვილის გარშემო, დაჯარიმებასთან დაკავშირებით, ეს არის სრული აბსურდი.

ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, არც სამართლებრივი, არც პოლიტიკურში. ეს ჯდება მხოლოდ ერთადერთ ლოგიკაში, რომ ხელისუფლებამ აღარ იცის, რა გააკეთოს იმისათვის, რომ გაანეიტრალოს ის ძალა, რომელსაც სათავეში ბიძინა ივანიშვილი უდგას.

– დღეს ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლებას სამოქალაქო დაპირისპირების გამოწვევა სურს...

– სამოქალაქო დაპირისპირება ხდება მაშინ, როდესაც ქვეყანაში ორი თანაბარი ძალაა. მე შემიძლია გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილს და მის პოლიტიკურ გუნდს მხოლოდ ვირტუალური მხარდაჭერა აქვს. საკამარისია გამოიროთოს ორი კვირით „რუსთავი-2“ და „იმედი“ და ამ პოლიტიკური წონისა და მხარდაჭერისგან, რომელსაც ასე ამაყად გვეუბნებიან, რომ მათ აქვთ, მერწმუნეთ, არაფერი არ დარჩება. დარჩება მხოლოდ ის 10%, რომელიც სტრუქტურებში განვერიანებული ხალხისგან, პოლიციაში და ჯარში მომუშავე ადამიანებისგან შედგება. სხვა არავითარი მხარდაჭერა, არავითარი შესაძლებლობა იმისა, რომ მან პოლიტიკური მეტოქეობა გაუწიოს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ კოალიციას, არ რჩება. ჩვენ ყველანი ერთად ვხედავთ სულსმებრძოლი ხელისუფლების უკანასკნელ მცდელობებს. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ მშვიდად ვუყურებ ამ პროცესებს და რაც უფრო მეტად მოიახლოვდება არჩევნები, მით უფრო გამოიკვეთება ხელისუფლების უსუსურობა.

– ქუჩაში ხალხის გამოყვანაზე რას ფიქრობთ?

– რაც შეეხება ხალხის ქუჩაში გამოყვანასა, ჩვენი შეკრებები ისედაც გარეთ ხდება, იმიტომ, რომ იმდენი ვარო, არსად ვეტევით, ვერც ერთ დარბაზში და ვერც ერთ სტადიონზე. ტემპერატურა არჩევნების წინ იქნება ძალიან მაღალი, ჩვენ ბოლომდე დავიცავთ ჩვენს უფლებებს. ეს დაჯარიმებები, გეტყვით, რომ ღიმილის მომგვრელია და ივანიშვილის პოზიციაც არის სწორედ ასეთი. ის ძალიან მშვიდად უყურებს ამ ყველაფერს. როგორც ექსპერიმენტების დროს მეცნიერები ზღვის გოჭებს აკვირდებიან, ზუსტად ისე აკვირდება ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილის ქმედებებს. მისი რეაგირებებიც ამაზე არის ზუსტი, ადეკვატური და ძალიან სწორი. არანაირი აღელვების საფუძველი არც ბიძინა ივანიშვილს და არც პოლიტიკურ კოალიციას არა აქვს. სააკაშვილს მოთმინება აქვს დაკარგული და ეს განპირობებულია იმ მარცხის გარდაუვალობით, რომელიც მას ოქტომბერში ელოდება. ის დამარცხებულია, არანაირი შანსი არ არის, პროცენტული შანსი არ არის იმისა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვოს. ისინი, რა თქმა უნდა, პარლამენტში შევლენ, მე ამას ვადასტურებ იქიდან გამომდინარე, რომ მათ გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერები ჰყავთ. პარტიული მხარდამჭერებიც ჰყავთ, მიხეილ სააკაშვილის ფანებიც არსებობენ ქვეყანაში, არსებობენ პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებში ხალხი, რომლებიც მხარს უჭერენ ნაციონალურ მოძრაობას. აქედან გამომდინარე, ამ რაოდენობის პროპორციულად, პარლამენტში შემადგენლობას გაიყვანენ. მე არ ვიცი ზუსტად რამდენი იქნება, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს იქნება ნახევარზე გაცილებით ნაკლები. საპარლამენტო უმრავლესობაში ისინი ვერ დარჩებიან ოქტომბრის შემდეგ. საპარლამენტო ხელისუფლებაში ვერ დარჩენა გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების ძირეულ გადახალისებას. ამას ხედავს მიხეილ სააკაშვილი და ამიტომ არის გაგიჟებული და წონასწორობადაკარგული. ამიტომ არის, დილიდან საღამომდე გურიაში რომ ზის მიხეილ სააკაშვილი და მთელი მისი მთავრობა, იქნება გურულებს როგორმე მოუქონონ თავი და არ გამოვიდნენ ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად. წინასწარ გეტყვით, რომ აქედანაც არაფერი არ გამოვა.

– როგორ ფიქრობთ, დაუშვებს იმ ფაქტს სააკაშვილი, რომ უმრავლესობით ვერ მოვიდეს მომავალ პარლამენტში?

– რა უნდა ქნას, რომ არ დაუშვას? არჩევნების გაყალბება ადვილია მაშინ, როდესაც შენ ებრძვი ისეთ ძალას, რომელსაც არანაირი შესაძლებლობა არა აქვს, რომ შენს უკანონობებს დაუპირისპირდეს. ყველა უკანონობას მიხეილ სააკაშვილისას ჩვენ ვუპირისპირდებით. ასი ათას კაცზე მეტი იქნება საარჩევნო სტუქტურებში და უკვე არის ხალხის ეს რაოდენობა თავმოყრილი ქართული ოცნების პოლიტიკური კოალიციის შტაბებსა და სტრუქტურებში. როგორ უნდა გაგვიყალბონ არჩევნები?! ადგილზე არავის არ დავაბებებთ გაყალბებას. საერთაშორისო დამკვირვებლებიც ძალზე ბევრი გვეყოლება. ამას გარდა, იქნება ძალზე სერიოზული კონტროლი მედიაკონტროლის თვალსაზრისით. ასე რომ, არჩევნების გაყალბების არავითარი შანსი და პროცენტი მიხეილ სააკაშვილს არ რჩება. ამას კარგად ხედავს სააკაშვილი და ამიტომაც კარგავს წონასწორობას და მუდმივად არის სასოწარკვეთის რეჟიმში. ამას ხალხი კარგად ხედავს.

ოპოზიციას არჩევნებისთვის ბოიკოტი უნდა გამოეცხადებინა

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

– ქალბატონო ირინა, როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რამდენად ხედავთ იმის საფრთხეს, რომ პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლება ამისთვის ნიადაგს ამზადებს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ადგილი აქვს გარიგებას, ორ მთავარ პოლუსს შორის, ხელისუფლებასა და ივანიშვილის კოალიციას შორის, ყველა შემთხვევაში ხელისუფლება სარეზერვო ვარიანტად აუცილებლად დაიტოვებს ქუჩის დაძაბულობის ილუზიის შექმნას, მაინც თუ სიტუაცია მისი კონტროლიდან გამოვა. პარალელურად ხელისუფლება მუშაობს მესამე ძალების გამრავლებაზე საარჩევნო პროცესში. დიდი ალბათობით ლეიბორისტული პარტიაც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. რა თქმა უნდა, ცალკე, ისინი არავის არ შეუერთდებიან. ეს კიდევ უფრო დაქსაქსავს ერთის მხრივ ოპოზიციურ ხმებს და მეორე მხრივ მცირე რაოდენობით, მაგრამ მრავალი პარტიის შესვლით ნაციონალური მოძრაობა ძალიან არის დაინტერესებული. ნაციონალური მოძრაობა გეგმავს, რომ მომავალ პარლამენტში 65% გამოუვიდეს.

– ეს რამდენად იქნება შესაძლებელი, საზოგადოებაში ხომ სულ სხვა განწყობაა?

– გეთანხმებით სხვა განწყობაა, მაგრამ საზოგადოების განწყობა არ არსებობს დამოუკიდებლად. ეს განწყობა, ერთი მხრივ, არის უარყოფითი ხელისუფლების მიმართ და დადებითი, რომელიმე კონკრეტული ოპოზიციური პარტიის მიმართ. ხელისუფლების მიმართ ეს არის აბსოლუტურად გააზრებული უარყოფითი დამოკიდებულება, რაც შეეხება სხვადასხვა ოპოზიციური დაჯგუფებების მიმართ დამოკიდებულებას, აქ რამდენად ყველას აქვს გააზრებული, თუ ვის და რატომ უჭერს მხარს, ეს ცოტა ძნელი სათქმელია. რადგან მთავარი მამოძრავებელი ძალა ამ საპროტესტო ელექტორატის არის ჩვენთვის ტრადიციული ფრაზა – ოღონდ სააკაშვილი არა და ვინც გინდათ – ის. ჯერჯერობით ამ ტრადიციული ფორმით მიმდინარეობს ოპოზიციური ელექტორატის გადანაწილება სხვადასხვა პარტიებს შორის. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ოპოზიციურ პარტიებს შორის ერთპიროვნულად ლიდერობს ბიძინა ივანიშვილის კოალიცია. ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, სწორია თუ არა ვარაუდი, რომ ივანიშვილის კოალიცია გარიგებულია თუ არა სააკაშვილთან. აქ საუბარია კოალიციაზე და არა პირადად ივანიშვილზე. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ – სააკაშვილი 2013 წლიდან პრეზიდენტი ვერანაირად ვეღარ იქნება და ამას არ სჭირდება დიდი აჟიოტაჟი. აქ საუბარი მიდის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე. ძალიან კარგი იქნება თუ ოპოზიცია ისეთივე მნიშვნელობას მიანიჭებს საპარლამენტო არჩევნებს, როგორ მნიშვნელობასაც ანიჭებს მიშა სააკაშვილი. ჩემი აზრით, ამ სიტუაციაში ყველაზე კარგი ვარიანტი ის იქნებოდა, რომ მთლიანად ოპოზიციურ სპექტრს ბოიკოტი გამოეცხადებინა ამ არჩევნებისთვის და მარტო დაეტოვებინა ნაციონალური მოძრაობა. თუმცა ეს ალბათ არარეალურია. მე ისევ ჩემს აზრზე ვრჩები, ამ არჩევნების იმედი არ შეიძლება სერიოზულ ადამიანს ჰქონდეს, თუ მას რეალურად სურს ნაციონალური მოძრაობის დამარცხება. მე თამამად ვაცხადებ, რომ გარიგებისა და არგარიგების შემთხვევაშიც ეს არჩევნები გაყალბდება.

– მაშინ რა აზრი აქვს მასში მონაწილეობას?

– ერთადერთი იმედი არის ის, რომ ისე ძლიერად გააპროტესტოს ოპოზიციამ შედეგები, რომ მოხდეს არჩევნების შედეგების გაუქმება და სულ სხვა გარემოში და სხვა ფონზე ჩატარდეს არჩევნები. რამდენად გარიგებულია ერომანეთთან ეს ორი პოლუსი – სწორედ არჩევნების შემდეგ გამოჩნდება. საინტერესოა, რამდენად მიიღებს ოპოზიცია იმ შედეგებს, რაც დაიდება. მე არ ვამბობ იმას, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა ხელისუფლებასთან გარიგებას ნიშნავს. გარიგება ნიშნავს იმას თუ ისინი გაყალბებული არჩევნების შედეგებს მიიღებენ. არჩევნები რომ გაყალბდება, ეს ყველამ ძალიან კარგად იცის. წინასწარ იცის ყველამ. ჩემთვის ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს იმას თუ ვინ როგორ მოიქცევა არჩევნების შემდეგ. ნამდვილმა ოპოზიციამ სააკაშვილს არ უნდა გაუპრავოს გაყალბებული არჩევნები. სწორედ იმ დროს იქნება აუცილებელი ქუჩის აქციები, რისაც ნამდვილად შეეშინდება ხელისუფლებას.

– თქვენი განცხადებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას არჩევნები უკვე მოგებული აქვს. თუმცა სააკაშვილს ეს სიმშვიდე არ ეტყობა...

– სააკაშვილის ფიზიონომიაზე და მის გამომეტყველებაზე ასე ადვილად ნამდვილად ვერ გავაკეთებ დასკვნებს. მისი ფუსტიკულაცია და გრიმასა, აბსოლუტურად არაადეკვატურია ხოლმე. ის იმ დროს იცინის, როცა ნამდვილად არა აქვს სასაცილოდ საქმე, არც მს და არც სხვას, ვინც მას უსმენს. მთ შორის მისი ცრემლიც გვაქვს ნანახი, ერთ-ერთ საარჩევნო კლიპში, ვიღაც პენსიონერს რომ დასტირის თავზე. მისი ჯეესტიკულაცია ნაკლებსაინტერესოა. მთავარია, კარგად დავინახოთ რეალობა. რა თქმა უნდა, სააკაშვილის გაღიზიანება აუცილებლად უნდა გამოიწვიოს იმ საყოველთაო ზიზღმა და აგრესიამ, რაც მის მიმართ იგრძნობა და რაც გამოიხატება ივანიშვილის მიმართ უაღრესად დადებითი დამოკიდებულებით, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის გარემოცვა ძალიან ბევრს არ მოსწონს. ეს სააკაშვილისთვის რასაკვირველია გამაღიზიანებელი იქნება, თუმცა ამის იქით არ ჩავლრმავდებოდი. ვინმემ მიპასუხოს, რა შეიცვალა საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. კანონი გაუარესდა, არჩევნების მართვის მექანიზმი ისევ ხელისუფლების ხელშია, ცენტრალური საარჩევნო კომისია ისევ ხელისუფლების ხელშია და ერთადერთი, რაზეც ეხლა აქცენტი უნდა კეთდებოდეს, არის ის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ არჩევნების შემდეგ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ ხელისუფლების მიერ გაყალბებული არჩევნები. არც ერთი არჩევნები არ დამთავრებული იქნებ შედეგით, რომელიც შემდეგ ხელისუფლებას გაუფორმებია და მცირეოდენი პროტესტის მიუხედავად სააკაშვილს მაინც თავისი გაუტანია. იქნებოდა ეს საპრეზიდენტო არჩევნები თუ ნებისმიერი სხვა. ძალიან ვწუხვარ, ყველას ბოდიშს ვუხდი, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ გარიგებას აქვს ადგილი. მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, დაველოდოთ არჩევნებს და დასკვნებიც მერე გავაკეთოთ. საინტერესოა, ვინ როგორ იმოქმედებს.

როგორ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაზღვევა

ნინო დვალიშვილი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობას დაზღვევა არ ითვალისწინებს. არაანაკობრივ პენსიაზე მოხსნილი დანამატის სანაცვლად გაცემული დაზღვევა გამოუყენებელი რჩება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა კავშირის – „მშობლის თანადგომის“ თავმჯდომარე ნათია კიკვაძე ამბობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები განსხვავებული დაზღვევით არ სარგებლობენ. მთა არ სთავაზობენ ისეთ პოლისს, სადაც ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი მედიკამენტებიც შეავ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მედიკამენტი ფინანსდება სრულად ან ნახევრად, ის წამლები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სჭირდებათ, საერთოდ არ შედის პოლისში.

ნათია კიკვაძის თქმით, თუ ადამიანი ეპილეფსიითთა დაავადებული, მისი გამოკვლევა დაზღვევით არაა გათვალისწინებული. „კარგი იქნებოდა, წელინწადში ერთხელ მაინც რომ უტარდებოდეთ სპეციალური გამოკვლევა. მაგალითად, ენცეფალოგრამის გადაღებაც რომ შევიდეს დაზღვევის პაკეტში“ – ამბობს ნათია კიკვაძე.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით სახელმწიფო ამბოლატორიულ მომსახურებას ფარავს. ამაში კი ოჯახის ექიმის ან უბნის ექიმის მომსახურება იგულისხმება. ნათია კიკვაძის თქმით, ეპილეფსიით დაავადებულისთვის ექიმის გამოძახება, რიგ შემთხვევაში ენცეფალოგრამის გადაღებასაც გულისხმობს. ენცეფალოგრამის გადაღება 60 ლარი ჯდება. ამას კი სახელმწიფო არ აფინანსებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, პენსიაზე დანამატის სანაცვლად შეთავაზებულ დაზღვევას ვერც ერთი ბავშვი ვერ იყენებს. დაზღვევაში ისეთი ანალიზი არ შედის, რომელიც ცელებრალური დამბლიით დაავადებულ პაციენტს ესაჭიროება. არც ისეთი ანალიზები არ ფინანსდება, რომელიც მათთვის საჭირო და გადაუდებელია. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, ზოგ პაციენტს გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება, რასაც დაზღვევა უზრუნველყოფს, რაც მათი თქმით, კარგია. მაგრამ ქრონიკულად დაავადებულებს ოპერაციების გარდა კიდევ მედიკამენტები სჭირდებათ და დაზღვევაში გათვალისწინებული ესეც უნდა იყოს. ზოგიერთ პაციენტს საერთოდ არ სჭირდება ოპერაცია, მაგრამ მათთვის სხვა სახის მედიკამენტური დახმარება აუცილებელია.

ახალგაზრდული ცენტრის თავმჯდომარის, გიორგი ძნელაძის თქმით, თბილისისა და აჭარის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დაზღვევებში არიან. რა სიტუაციაა სხვა რეგიონებში, ეს არ იცის, თუმცა იმედოვნებს, რომ სექტემბრიდან ყველა შშმ პირი დაეზღვევა.

დღესდღეობით სოციალური დაზღვევის პროგრამით სოციალურად დაუცველი ოჯახები სარგებლობენ. ისინი კი, ვინც სოციალურად დაუცველთა რიცხვში არ არიან, სახელმწიფო დაზღვევას ვერ იყენებენ. იგივე საშიშროება ახალი დაზღვევის შემთხვევაშიც იქნება. 2012 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო დამატებით 0-დან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დააზღვევენ. ,,მთავარი ამოცანაა, არც ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემა არ დარჩეს ყურადღების გარეშე, მიუხედავად მისი ოჯახის სოციალური სტატუსისა“ – თქვა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. საქართველოში 18 წლამდე ასაკის 8645 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ცხოვრობს. ეს ადამიანები ამჟამად სახელმწიფოსგან ყოველთვიური პენსიის სახით 70 ლარს იღებენ.

სექტემბრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების სამედიცინო დაზღვევა დაფარავს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, ექიმთან კონსულტაციას, ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ გამოკვლევებს. ესენია: ელექტროკარდიოგრაფული, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევა. ასევე ამ პაკეტში შევა გადაუდებელი, მთა შორის რანიმაციული, მკურნალობა სამედიცინო დაწესებულებაში. ეს დაზღვევა გაითვალისწინებს გეგმურ და გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციებს. მკურნალობა და დიაგნოსტიკა ონკოლოგიურ დაავადებებსაც შეეხება. ეს სამედიცინო მომსახურება დაზღვეულის მხრიდან თანაგადახდასაც ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრიდან დაზღვეულთა რიცხვი საკმაოდ გაიზრდება, ის ადამიანები, რომლებიც ამ ასაკობრივ ჯგუფში ვერ მოხვდებიან და არც სოციალურად დაუცველთა სტატუსის მატარებელი იქნებიან, მთა სახელმწიფო დაზღვევა არ შეეხებათ.

შემოდგომოდან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ერთად სახელმწიფო დაზღვევით 670 ათასი პენსიონერიც ისარგებლებს. მათი დაზღვევის პაკეტის ფასი 15 ლარით განისაზღვრება. ნიკა გილაურის თქმით, პენსიონერები 140 ლარს აიღებენ. ,,ვინც დღეს 100 ლარს იღებდა, დამატებით აიღებს 25 ლარს და სადაზღვევო პაკეტს. ვინც დღეს 110 ლარს იღებდა, დამატებით აიღებს 15 ლარს და სადაზღვევო პაკეტს“ – განაცხადა გილაურმა.

სახელმწიფო დაზღვევა 0-დან 5 წლამდე ჩათვლით ასაკის 300 ათასზე მეტ ბავშვსა და 100 ათასამდე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს გააერთიანებს.

ამჟამად სახელმწიფოდ დაზღვევეთ სოციალურად დაუცველი ოჯახები, პედაგოგები, სხვადასხვა უნყების წარმომადგენლები უკვე სარგებლობენ. კერძოდ, დაზღვევულთა რაოდენობა 400 ათას ადამიანს აღწევს. 2012 წლის ბოლომდე კი 2.2 მილიონს გადააჭარბებს. თუ წლის ბოლომდე ამდენ ადამიანს დაზღვევენ, გამოვა, რომ საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე დაზღვეული იქნება.

ვარძიის ურთულესი გზარების ინექტირება დაწყებულია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის განმარტებით, მის დაქვემდებარებაში მყოფ სააგენტოში ვარძიის არქიტექტურული ანსამბლის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის განსაკუთრებული პროგრამა მოქმედებს.

– ქვაში ნაკვეთ ძეგლზე წარმოქმნილ დაზიანებებს რესტავრატორები დარში და ავდარში ებრძვიან. ეკსპედიცია რესტავრატორ სანდრო რუბაშვილის ხელმძღვანელობით ამ ეტაპზე მუშაობს და ახორციელებს ყველზე რთულ მდგომარეობაში არსებულ, სატრაპეზო უბანში წარმოქმნილი ბზარებისა და ნაპრალების გასუფთავებასა და ინექტირებას, ასევე გამოქვაბულის ჩამორეცხილი და გაფხვიერებული გარე და შიდა კედლების რთული ხსნარით დაფარვას, რაც კლდის იმიტაციის შექმნაა, – განმარტავს სააგენტოს ხელმძღვანელი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით ამავდროულად ხორციელდება ვარძიის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მორიგი ეტაპი, კომპლექსის ტერიტორიაზე დამთვალიერებლის უსაფრთხოებისთვის, მონატაჟდება ლითონის მოაჯირები, მიმდინარეობს ბილიკების, ახალი საფეხურებისა და მოსასვენებელი ადგილების მოწყობა.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსის საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებში სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, თეორიის ფაკულტეტისა და ახალციხის გრიგოლ ხანძთელის სასუელერო სასწავლებლის სტუდენტები.

– პროექტში სტუდენტების ჩართულობა ხელს უწყობს მათი თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. პროექტის ფარგლებში სტუდენტები იღებენ სტაბილურ ანაზღაურებას, რაც სახელმწიფოსა და, შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, – აცხადებს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ვარძიის ზუსტი დიაგნოსტიკა უახლესი სარადარო სისტემით ხორციელდება, რადგანაც მსოფლიო დონის კვლევითი ლაბორატორია საქართველოში ამოქმედდა. ამიტომ ვარძიის ზუსტი დიაგნოსტიკის მიზნით, ახალი სარადარო სისტემა კლდის უნიკალური არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე უკვე დამონტაჟებულია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნახევარმილიონიანი პროექტი ვარძიის გადარჩენასა და მისი საუკუნეებით სიცოცხლის გახანგრძლივებას ემსახურება.

– მსგავსი ნანოტექნოლოგიური დიაგნოსტიკა ერთი მრიგ ხანდაზმული ძეგლების უზუსტეს კვლევას გულისხმობს და მეორე მრიგ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქვეყნის პრიორიტეტსა და დამოკიდებულებას ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის სფეროში, – ამბობს ვაჩეიშვილი.

ახალი სარადარო სისტემის მონტაჟისა და ქართველი კოლეგების ტრენინგისთვის საქართველოში იტალიის გარემოს დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს პრეზიდენტი კლაუდიო მარგოდინი კოლეგებთან ერთად ჩამოვიდა და ვარძიაში 24 საათიან რეჟიმში იმუშავა. ფლორენციიდან სპეციალურად ჩამოსულმა გეოლოგებმა და სარადარო სისტემის ტექნოლოგებმა – ანჯელო ბენედიტიმ, ალბერტო სომესმა და დანიელე სპიციკინომ ქართველ კოლეგებთან ერთად, ვარძიის ლაბორატორიული სამუშაოები უკვე ადგილზე აწარმოეს.

– კლდეში ნაკვეთი კომპლექსების გარდა, მსგავსი სარადარო დიაგნოსტიკა განსაკუთრებით დიდი მასშტაბისა და მოცულობის მქონე ობიექტების – ხიდების, კარიერებისა და კაშხლების კვლევის მიზნით ხორციელდება. ზემგრძნობიარე რადარი 2 მილიმეტრის სიზუსტით დაადაფიქსირებს ვარძიის ნებისმიერი სახის დეფორმაციას, ბზარების დინამიკას, შიდა მოძრაობასა და კლდოვან მასათა გადაადგილებას. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება ძეგლის დაზიანებული ადგილების ზუსტი საკოსერვაციო მეთოდოლოგიის განსაზღვრა და განხორციელება. ყოველი გაანახლებული ინფორმაცია, რომელსაც რადარი დაადაფიქსირებს, ვარძიის ცენტრალური ლაბორატორიიდან თბილისისა და რომის მონაცემთა ბაზაში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ვანო ჯავახიშვილს ოქროს ფრთა“ მიანიჭეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საზოგადოების წინაშე განახლებული სახით წარდგა და ბევრი სიახლე დაინერგა, – განაცხადა თაკო ფხაკაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ჟურნალისტები, ტელეწამყვანები თუ რადიოწამყვანები შეიკრიბნენ. დაჯილდოების ცერემონიალს მარიამ ქუთათელაძე და ბექა ელბაქიძე უძღვებოდნენ. ათკაციანმა ჟიურიმ ნომინანტებზე არჩევანი რეიტინგის მიხედვით გააკეთა. სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს სამახსოვრო პრიზები და, რა თქმა უნდა, მთავარი ჯილდო – ოქროს ფრთა – გადაეცათ.

„ოქროს ფრთა 2012“ სხვადასხვა ნომინაციებში გადაეცათ:

ვანო ჯავახიშვილს გადაცემისთვის „ზე ვანოს შოუ“, გადაცემას „სამოთხის ვაშლები“ და მის წამყვანებს – ნინო ზაუტაშვილს, სალომე დადუნაშვილს, ნინო კურატაშვილსა და ნანა ფაჩუაშვილს, ასევე „სამოთხის ვაშლების“ პროდიუსერ გოგა ჩართოლანს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტსა და დოკუმენტალისტ მიხეილ ბასილაძეს, რომელმაც სხვადასხვა პროექტებთან ერთად შექმნა ფილმი „1937“, რომელიც 37 წლის რეპერსიებს მიეძღვნა.

„ოქროს ფრთა“ მიენიჭა სატელევიზიო თოქშოუსთვის „საჯარო პოლიტიკა“ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს საინფორმაციო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმართულების დარგში, ხათუნა ბერძენიშვილს.

პრიზით დაჯილდოვეს ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი, პროექტის „იმედის გმირები“ ხელმძღვანელი მთე კირვალიძე.

დაჯილდოვებულთა შორის აღმოჩნდა პროდიუსერი ნოე სულაბერიძე წლის საუკეთესო პროდიუსერის ნომინაციაში პროექტისთვის „ცეკვავენ ვარსკვლავები“.

მიშა ფეიქრიშვილი დაჯილდოვდა ოქროს ფრთით პროექტისთვის „ყველა კითხვა მიშა ფეიქრიშვილთან ერთად“.

წლის პროექტისთვის „ნიჭიერი“ მთავარი პრიზით დასაჩუქრდნენ „რუსთავი 2“-ის პროდიუსერი გიორგი ხაბურძანია და „რუსთავი 2“-ის პროდაქშენის დირექტორი დემნა ჯაფარიძე. ჟიურის წევრებს არც ახალი ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ დავიწყნიათ და მისი რეჟისორი გიორგი ლიფონავა „ოქროს ფრთით“ დაჯილდოვეს. „ოქროს ფრთა“ გადაეცა „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვების წამყვან ზაალ უდუშბილოსაც.

ჟურნალისტმა თეა სიჭინავამ, რომელსაც ტელეკომპანია „მაესტროში“ გადაცემა „არგუმენტები“ მიჰყავს, „ოქროს ფრთა“ დაიმსახურა. პროექტისთვის „გიგო გაბაშვილი – როგორც ფოტოხელოვანი“ „ოქროს ფრთით“ მკვლევარი გოგი სარაჯიშვილი და პროექტის ავტორი გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ ჟურნალისტი მარიტა დამენია დაჯილდოვეს. პრიზის გარეშე არ დარჩენილა რადიო „ფორტუნას“ აღმასრულებელი დირექტორი თამარ ჩიგოგიძე. „ოქროს ფრთა“ მიაკუთვნეს ყოველ „ტაბულას“ დიზაინერს ბაჩა მალაზონიას. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე კი სატელევიზიო გადაცემისთვის „ინტერპრეტაცია“ და ინტერნეტ-გადაცემისთვის „ლიტარია“ „ოქროს ფრთით“ დაჯილდოდა.

როგორც დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ მინვეულმა სტუმრებმა და ჟიურის წევრებმა აღნიშნეს, ეს პრიზი ჟურნალისტებისთვის ერთგვარი სტიმულია, რომ მათ მომავალში კიდევ უფრო მეტი აკეთონ და საზოგადოების ინფორმირებისთვის იმუშაონ.

თაკო ფხაკაძე, „ოქროს ფრთის“ პრეზიდენტი:

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ჯილდო ყველა ჟურნალისტისთვის იყოს სასახელო. ამიტომაც, თუ ჩვენ შევძლებთ და ტრადიციას ასე გავაგრძელებთ, ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება. საკმაოდ შრომატევადი იყო ჟიურის მუშაობა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, კამათი, კანდიდატურების აქტიური განხილვა, მაგრამ საბოლოოდ მივედით ერთ პოზიციამდე და ნომინაციებში საუკეთესოებიც ასე შევარჩიეთ.

ნუგზარ რუხაძე, ჟურნალისტი, ჟიურის თავმჯდომარე:

– პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ „ოქროს ფრთა“ მეც მაქვს და ამის ვამაყობ. ეს ღონისძიება უნდა იყოს მუდმივად როგორც მოვლენა, რომელსაც ითვალისწინებს ჩვენი კულტურული ინფრასტრუქტურა. ის სწორად არის ჩაწერილი და ახლა ისღა დაგვრჩენია, ადამიანები სწორად ვმსჯელობდეთ ამაზე, დაჯილდოების კანდიდატები კარგად იყვნენ შერჩეული და ეს მოქმედებდეს მათ შორის პროცესზე. ეს იყო პრეტენზიის მქონე ჟიური, რომელმაც შესაბამისი დასკვნები გააკეთა. ძალიან საინტერესო იყო ყველა იმ ადამიანთან მუშაობა, რომლებიც წლევანდელ ჟიურიში გაერთიანდნენ. მინდა ყველა გამარჯვებულს მივულოცო წარმატება. ისინი დაიმახსოვრებენ ამას მთელი ცხოვრების მანძილზე და მსურს, ეს იყოს ისეთი სტიმულატორი, რომელიც მათი შრომის შედეგს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის.

გია ბუღაძე, მხატვარი, ჟიურის წევრი:

– საერთოდ ჟურნალისტიკა მე ხელოვნების ყველაზე აქტუალური დარგი მგონია. მას ნამდვილად შეუძლია ადამიანს სამყარო სულ სხვა კუთხით დაანახოს. ამიტომაც პროფესიონალიზმს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მადლობელი ვარ, რომ მომეცა საშუალება, ვყოფილიყავი ჟიურის წევრი, დიდი მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს ასეთი დიდი ზეიმისათვის.

ვანო ჯავახიშვილი, „ზი ვანოს შოუს“ წამყვანი:

– დიდი მადლობა ყველას, ვინც საჭიროდ ჩათვალა, ჩემთვის ეს ჯილდო მოენიჭებინა. ჩემს უკან დგას დიდი გუნდი, რომლის გარეშეც ჩემი გადაცემა არ იარსებებდა. ბედნიერი ვარ, რომ ჟურნალისტებისთვის ესოდენ საამაყო პრიზი მეც მერგო. ვეცდები, მაყურებელს იმედები არ გავუცრუო და მომავალში კიდევ უფრო მეტი ვაკეთო.

მათე კირვალიძე, „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი:

– ეს ჯილდო ძალიან კარგი სტიმულია და ჩვენ „იმედის გმირების“ მთელი გუნდი მეტი შემარეთებითა და მეტი ენერგიით გავაგრძელებთ ამ საქმეს. „ოქროს ფრთის“ ჟიურის შეფასება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დავიმახსოვრეთ საზოგადოების მხრიდან შექება, ამიტომაც ყველას დიდ მადლობას გეუბნებით.

ზაალ ჩიქობავა, რუსთაველის თეატრის მმართველი:

– ძალიან მნიშვნელოვანია, თუ მოხდება ასეთი დაჯილდოების ცერემონიალები ყველა სფეროში. ნებისმიერ სფეროში მომუშავე ადამიანს სჭირდება სტიმული. ჟურნალისტებისთვის კი ყველაზე დიდი ჯილდოა, როდესაც მათი აღიარება ხდება სხვადასხვა ნიშნით. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ამ ყველაფერში. მედიის წარმომადგენელები დღეს თავისთავად ძალიან დიდ როლს ასრულებენ ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ, მიმაჩნია, რომ, ალბათ, მეტი კოლეგიალური მხარდაჭერა მაინც უნდა არსებობდეს მსგავსი საქმეებისადმი.

ოსმან თურანი, „ჯეოსელის“ გენერალური დირექტორი:

– ათი წელია, რაც მონაწილეობას ვიღებთ ამ ღონისძიებაში. ღონისძიება კი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ის ამ მასშტაბებით ერთხელ ხდება წელიწადში. თან მეათე ღონისძიებაა და კარგად არის გაკეთებული ყველაფერი. ვულოცავ ყველას, ვისაც ჟიურიმ „ოქროს ფრთა“ მიანიჭა. მჯერა, რომ ჟურნალისტები წვეული ენერგიით მომავალშიც აქტიურად იმუშავებენ.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე სამკალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ასტელი 700 608, შეიტყალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.

იცხოვრეთ ძმაყალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ.ფყრჯ.ჰბრდბკბნბ.ბ

```
ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% ) () $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N  36 010 892   GEL;
        136 180 892   USD;
        236 180 892   EUR
```

```
sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-
ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2
c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8
~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC  QDSBCVIJ,KBC  [FHT,BC
LTLFSF  VJYFCNHBC  OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF  ~VECTKBFYB`
```


უფყწ[ფლ.ტ.ბ

● ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, ადგილობრივი გაუტკივარებით, კანის გაღიზიანების გარეშე, სრულად განკურნების გარანტიით. ფასი: ერთი საათი 12 ლარი. ტელ: 2-52-05-52; 294-67-05:

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ა ჯგუფი ბოლო ტურს ელის

საბერძნეთი _ ჩეხეთი 1:2

0:1 იარაჩეკი (3), 0:2 პილარჟი (6), 1:2 გეკასი (53)

საბერძნეთი: ხალკიასი (სიფაკისი 23), მანიატისი, პაპადოპულოსი, ტოროსიდისი, პოლებასი, კარაგუნისი, ფოტაკაისი (გეკასი 46), კაცურანისი, ფორტუნისი (მიტროლლუ 71), სამარასი, სალპინგიდისი

ჩეხეთი: ჩეხი, სელასიე, კადლეცი, სივოკი, ლიმბერსკი, როსიცკი (კოლარი 46, რიტორალი 90), პლაშილი, პილარჟი, ჰოუბშმანი, იარაჩეკი, ბაროში (პეკეპარტი 64)

მატჩის შედეგმა ამ ჯგუფში ყველაფერი არივ-დარია. ჩეხებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლეს, ხოლო მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებმა საწყის ორ მატჩში მხოლოდ ქულა აიღეს, ჯგუფიდან გასვლის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ.

თავად მატჩში საინტერესო გადმოდგა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბერძნებმა მეორედ ჩააგდეს პირველი ტაიმი და მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოასწორეს თამაში. თუ ეს პოლონელებთან ქულის მომტანი აღმოჩნდა, ჩეხებთან უქულოდ დარჩნენ.

ყველაფერი დებიუტში გადაწყდა – უკვე მე-6 წუთზე ჩეხები 2 ბურთით იგებდნენ. ჯერ იარეჩეკი დარჩა მეკარესთან პირისპირ ჰიუბშმანის შესანიშნავი თამაშისა და პასის შემდეგ, რაც კარგად გამოიყენა და ანგარიში გახსნა.

შემდეგ უკვე პილარჟის ჯერ დადგა, რომელმაც მეკარისა და მცველების ცუდი თამაშით ისარგებლა და თითქმის წაქცეულმა საკუთარ გუნდს სერიოზული ჰანდიკაპი დაუბევა. ჩეხეთი გახდა პირველი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ისტორიაში, რომელმაც პირველ ექვს წუთში 2 ბურთის გატანა მოახერხა.

საბერძნეთი პირველი ტაიმის მიწურულს გააქტიურდა და სანტუშის შეგირდებმა გოლის გატანაც მოახერხეს, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირების გამო, არბიტრმა ანგარიში უცვლელი დატოვა. ეპიზოდი საკამათო იყო და საერთოდ ბერძნების წინააღმდეგ მსაჯები ამ ევროპის ჩემპიონატზე ხშირად ცდებიან.

როგორც უკვე გითხარით, მეორე ტაიმში ბერძნები უკეთ ათამაშდნენ, თუმცა გოლი მათი დამსახურება ნამდვილად არ არის და პეტერ ჩეხის შეცდომის შემდეგ ანგარიშში სხვაობა ეკამიცრეს.

თუმცა, ამის შემდეგ თამაში „მოკვდა“, გუნდები ძალიან უფერულად გამოიყურებოდნენ და მაყურებელს ვერაფერი სანახაობრივი შესთავაზეს. ალბათ ეს იყო ყველაზე ცუდი მატჩი მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვაცლავ პილარჟი

საერთოდ ძნელია ამ მატჩში ვინმეს გამორჩევა. ერთია, პილარჟი ბერძნებთანაც და რუსებთან მატჩშიც კარგად გამოიყურებოდა. ამასთან გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა.

ჰოლანდია _ ხუსეთი 1:1

0:1 ძაგოევი (38), 1:1 ბლაშჩიკოვსკი (57)

პოლონეთი: ტიტონი, ბოვინიში, ვასილევსკი, პერკასი, პიშჩეკი, დუდკა (მიერზიევსკი 73), პოლანსკი (მატუშჩიკი 84), ობრანიაკი (ბროზეკი 90), მურავსკი, ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი

რუსეთი: მალაფეევი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი, ა. ბერეზუცკი, შიროკოვი, დენისოვი, ზირიანოვი, ძაგოევი (იზმაილოვი 80), არშავინი, კერჟაკოვი (პავლიუჩენკო 70)

მატჩის შედეგით განაწყენებული არც ერთი მხარე არ უნდა დარჩენილიყო. ორივე გუნდი ინარჩუნებს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს და საკმაოდ რეალურსაც. ერთია, ყველაფერი მათ ხელშია და ეს უნდა გამოიყენონ.

მატჩი კარგი სანახავი გამოდგა. გულშემატკივრებმა სწრაფი ტემპი იხილა. პოლონელებმა თავიდანვე პრესინგს მიმართეს და მეტოქეს თითქოს შეუზღუდეს არეები, თუმცა რუსები მაინც ახერხებდნენ ნაპრალების მოძებნას და მწარედ იკბინებოდნენ.

პოლონელებს დასაწყისი ზუსტად ისეთი გამოუვიდათ, როგორც ბერძნებთან, თუმცა ამჯერად სწრაფი გოლის გატანა ვერ მოახერხეს. პირველი სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს – მე-7 წუთზე, ობრანიაკმა მარჯვენა ფლანგიდან ჩაააწოდა და ბოენიშმა თავით დაარტყა, მაგრამ მალაფეევმა შესანიშნავად ითამაშა და თავისიანები გაშვებულ გოლს გადაარჩინა. მე-11 წუთზე, შორეული დარტყმით ანგარიშის გახსნა ლევანდოვსკიმ სცადა, მაგრამ მასპინძელთა ლიდერს მიზანმა მცირედით უმტყუნა. მე-18 წუთზე, პოლონელებმა ძალიან კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რასაც პოლანკის ზუსტი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და გოლი სამართლიანად გააუქმა.

ამის შემდეგ, უპირატესობას რუსები დაეუფლნენ, რომლებმაც 37-ე წუთზე ანგარიშიც გახსნეს. სტუმართა შეტევის მარჯვენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმა არშავინმა შეასრულა, რომლის ჩაწოდების შემდეგაც, ძაგოევმა თავით ზუსტად დაარტყა. ამ ბურთის გატანის შემდეგ, ძაგოევის აქტივში 3 გოლია, ხოლო არშავინის ამდენივე შედეგიანი გადაცემა მოუგროვდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ძაგოევმა ყველა გოლი სტანდარტული სიტუაციის შემდეგ გაიტანა.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე გოლის გატანის შანსი ლევანდოვსკის მიეცა, მაგრამ მას გამოსცდა კარგად მოთამაშე მალაფეევმა აჯობა. 57-ე წუთზე, რუსების კარში გოლი მაინც გავიდა – სტუმართა მარჯვენა ფლანგიდან შეტევის დროს, ბლაშჩიკოვსკიმ ბურთი საჯარიმოს კუთხესთან მიიღო, ერთი მეტოქე მოატყუა და წინა ხაზიდან დარტყმით, ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა.

დაახლოებით ათ წუთში, ძაგოევს ზედიზედ მე-2 თამაშში დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა საკმარისად ძლიერად ვერ დარტყა. 69-ე წუთზე, პოლანსკი მახვილი კუთხიდან სახიფათოდ ურტყამდა და მალაფეევმა გუნდი გოლის გაშვებისგან კიდევ ერთხელ იხსნა.

შეხვედრის ბოლო წუთებმა იმ გუნდის უპირატესობით ჩაიარა, რომელისთვისაც ეს მატჩი უფრო მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ პოლონელები რეალურად სახიფათო მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ და მატჩში მეტი გოლი აღარ გასულა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იაკუბ ბლაშჩიკოვსკი

პოლონელთა კაპიტანი მართლაც რომ ღირსია სამკალავური აბარაოს. ყველაზე რთულ და კრიტიკულ მომენტში წინ უძღვება თავის გუნდს და მოლიანად მისი დამსახურებაა გამთანაბრებელი გოლი.

ანდრეი შევჩენკო 10 წლით გაახალგაზრდავდა

უკრაინის ნაკრების თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ დაამტკიცა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ვარსკვლავის ტიტულს ტყუილად არ ატარებდა. მართალია, 35 წლის ასაკში ისეთ ფორმაში ვერ არის, შიშის ზარს რომ სცემდა მეტოქეთა მცველებს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე „შევას“ ორმა გოლმა უკრაინელებს პირველი გამარჯვება მოუტანა.

– ელოდით პირველივე მატჩში ასე კარგად რომ თამაშობდით?

– ამგვარ ფანტასტიკურ საღამოს ვერც წარმოვიდგენდი, ვერც ვნატვრებდი და სიზმარშიც ვერ ვნახავდი. მატჩის დასრულების შემდეგ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს 10 წლით ახალგაზრდა გავხდი. მთელი სეზონის განმავლობაში ზურგისა და მუხლის ტრავმებმა გამაწამეს. არცთუ დიდი ხნის წინ იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშსაც ვერ მოვახერხებდი. საბედნიეროდ, გვერდით ერთგული და რაც მთავარია, მაღალი რანგის სპეციალისტები დამიდგნენ და მოკლე დროში „ფეხზე დამაყენეს“. სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა ჩემი წარმატებული თამაში ევროპის ჩემპიონატზე. კარგ ფორმაში ვარ და შემდგომი მატჩების კარგად ჩატარების საფუძვლიანი იმედიც მაქვს.

– 2009 წლის შემოდგომაზე დონეცკის „დონბას არენას“ თავლცრემლიანი ტოვებდით. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეიოფში საბერძნეთს ვერ მოუგეთ. შეგებთან იმ მატჩში განეცდილი სიმწრის კომპენსირება მოახერხეთ?

– როდესაც ჯგუფიდან გასვლას გავინაღდებთ, კომპენსაციაზე მაშინ ვისაუბროო. ჯერ ჯერობით კი, მართალია, ისტორიული, მაგრამ ერთი შეხვედრა მოვიგეთ. ამ გამარჯვებას გულშემატკივრებს ვუძღვნით. წამითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, წინ 2 ურთულესი თამაში რომ გველის. ჩვენი აჰყამინდელი ამოცანა საფრანგეთთან და ინგლისთან მაღალ დონეზე მომზადება. მომგებიანი სტარის შემდეგ მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდა, თუმცა, იოტისოდენა მოდუნება ყოველად დაუშვებელია. კარგად გვესმის, როგორი რთული ბარიერების გადალახვა მოგვიწევს საბოლოო მიზნის აღსასრულებლად.

– ფეხბურთის სპეციალისტები განსაკუთრებით თქვენმა მეორე გოლმა აღაფრთოვანა. ბურთის ჩაწოდებასას თავური დარტყმა მეტად ეფექტური გამოგივიდათ.

– თავდამსხმელი, რომელიც მუდმივად მოძრაობაშია, ყოველთვის პოულობს თავისუფალ ადგილებს მოწინააღმდეგის დაცვაში. ვცდილობ, ამგვარ მანევრში ვითამაშო. პირველი გოლი იარმოლენკოს პასის შემდეგ გავიტანე, რისთვისაც მას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ამ ეპიზოდში მეტოქეს წამის მეათედით დავასწარი. მეორე გოლს რაც შეეხება, ეს კომბინაცია ვარჯიშებზე კარგად გვაქვს დამუშავებული. რამდენჯერმე ვნახე ამ ეპიზოდის ჩანაწერი. ბურთი იმ ერთადერთ ნაპრალში გაძვრა, რომელიც მცველებს გამოეპარათ. სწორედ ამითაა ბრწყინვალე ფეხბურთი – სათანადოდ უნდა გამოიყენო შანსი, რომელიც გეძლევა. ვინც ამას ახერხებს, ბევრს მიაღწევს.

– 2006 წელს გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გაგვედით. ამჯერად რა ამოცანის დადაჭრას ისახავს მიზნად უკრაინის ნაკრები?

– მოდით, ნუ გაგაკვლებთ პარალელს 6 წლის წინანდელ და დღევანდელ ტურნირებთან. გერმანიის მუნდიალზე ქვეჯგუფში ესპანეთის სახით ერთადერთი ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა. „ფურია როხასთან“ სადებიუტო მატჩი ჩავაგდეთ, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოვასწორეთ და საბოლოოდ ჩვენი ქვეყანა უპირველეს საფეხბურთო ფორუმზე ღირსეულად წარმოვადგინეთ. ევროპის ჩემპიონატს რაც შეეხება, უფრო რთულ ჯგუფში მოვხვედით. გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისანი ვართ. ძალიან კარგია, პირველი შეხვედრა რომ მოვიგეთ. ეს ფაქტორი შემდგომ მატჩებში ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოგვანიჭებს. განსაკუთრებით ისაა მნიშვნელოვანი, მოგება პირველი გოლის გაშვების შემდეგ რომ მოვახერხეთ. ახლა მთავარია, საკუთარი შესაძლებლობები არ გადავაფასოთ, კიდევ უფრო მეტად შევკავშირდეთ და მომავალი ურთულესი და უპრინციპულესი ორთაბრძოლებისთვის სათანადოდ მოვემზადოთ. ფრანგები და ინგლისელები მცირედ შეცდომასაც არ გვაპატიებენ.

თორნიკე შენგელია მეორე რაუნდში არჩევას უწინასწარმეტყველებენ

ნბა-ს მიერ ორგანიზებული ტრევიზოს კემპი დასრულდა. მასში მონაწილე კალათბურთელთაგან ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი თორნიკე შენგელია იყო, რომელმაც კემპის მეორე და მესამე დღეს საუცხოოდ ითამაშა.

მართალია, კემპის საწყის დღეს შენგელიამ 20 წუთში 9 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა და ვერც „ოლ სტარში“ მოხვდა, მაგრამ შემდეგ მისი ჯერიც დადგა.

ქართველი კალათბურთელი „გუნდი 4“-ის ღირსებას იცავდა და მინი-ტურნირის მე-2 დღეს მე-3 გუნდის წინააღმდეგ მოგებულ (48:44) მატჩში 20 წუთს გაისარჯა. თორნიკე სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 20 წუთი დაჰყო, რა დროშიც 4 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 4 საჯარიმო აააცილა.

შენგელიამ 11 ივნისის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში მიიღო მონაწილეობა. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, დღის განმავლობაში თავგამოჩენილი კალათბურთელები საღამოს საჩვენებელ მატჩში იღებენ მონაწილეობას. სწორედ ამ შეხვედრაში წარმოაჩინა შენგელიამ თავისი შესაძლებლობები. „ყველა ვარსკვლავთა“ გუნდი ავსტრალიის სპორტული ინსტიტუტის გუნდს დაუპირისპირდა და 75:46 მოუგო, ქართველი ფორვარდი კი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

შენგელია ისევ სასტარტო ხუთეულში იყო და ორმაგ დუბლამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა – 22 წუთში 20 ქულა, 9 მოხსნა (4 მეტოქის ფარზე), 3 ჩაჭრა, 1 პასი და 1 პასი დააგროვა.

შენგელიამ 17-დან 10 ორქულიანი გამოიყენა, სამქულიანი და საჯარიმო კი აააცილა. შენგელიას შედეგიანობის კოეფიციენტმა 24 შეადგინა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ქართველის შემდეგ საუკეთესო მარგი ქმედების მქონე კალათბურთელს მხოლოდ 14 ჰქონდა.

ტურნირის ბოლო დღეს შენგელიამ კვლავ 2 მატჩი ითამაშა. ჩვეულებრივ, გრაფიკით გათვალისწინებული და დღის ბოლოს, „ოლ სტარის“ მატჩი. ორივე შეხვედრაში მან ბრწყინვალედ ითამაშა და კემპზე შეკრებილ აუditორიას ნბა-ს სკაუტებს საკუთარი ძალა დაანახვა.

მისმა გუნდმა „გუნდი 2“ 66:27 გაანადგურა. თორნიკე ამჯერად სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა, თუმცა, თავისი საქმე კვლავ ჩინებულად გააკეთა. შენგელიამ 20 წუთში 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 5 პასი მიითვალა. მან 5-დან 4 ორქულიანი, სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

ისევ „ოლ სტარი“ და ქართველი კალათბურთელის ისევ შედეგიანი თამაში. „ყველა ვარსკვლავის“ გუნდმა ამჯერად საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრები დაამარცხა – 66:60. აღსანიშნავია, რომ იმ გუნდმა, რომელშიც შენგელიამ კემპის ფარგლებში ითამაშა, ერთხელაც არ დამარცხებულა. ტრევიზოში შენგელიამ ხუთივე მატჩი მოიგო.

შენგელია ტურნირის ბოლო მატჩში სასტარტო ხუთეულს დაუბრუნდა და საფრანგეთის ნაკრებთან 23 წუთში 16 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოაგროვა. თორნიკემ 13-დან 8 ორქულიანი ჩააგდო, 2 სამქულიანი და ამდენივე საჯარიმო აააცილა.

აღსანიშნავია, რომ ტრევიზოს კემპზე გამართულ 5 მატჩში შენგელია საშუალოდ 12,2 ქულას აგროვებდა. შენგელიას 28 ივნისამდე, ანუ ნბა-ს დრაფტამდე დრო კიდევ აქვს. სავარაუდოდ, იგი ამერიკაში ნაადრევად ჩავა და უშუალოდ იმ გუნდებთან ივარჯიშებს, რომლებიც მისით არიან დაინტერესებულნი. აქვე გეტყვით, რომ ავტორიტეტული ამერიკული ვებგვერდები შენგელიას მეორე რაუნდში არჩევას უწინასწარმეტყველებენ.

დილა“ ევროტურნირს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს

საქართველოს თასის მფლობელი გორის „დილა“ ევროპის ლიგის გათამაშებას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს.

ამ ცვლილების შესახებ, უეფას გენერალურმა სამდივნომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საგანგებო წერილით აცნობა.

როგორც ცნობილი იყო, საქართველოს თასის მფლობელს ასპარეზობა პირველივე ეტაპიდან უნდა დაეწყო, თუმცა, უეფას წერილს თან ახლავს თანდართული განმარტებები, თუ რის გამო განხორციელდა ეს ცვლილებები.

წინა წლის შედეგებიდან გამომდინარე, საშეჯიბრო ცხრილში სხვადასხვა საკვალიფიკაციო ეტაპზე გაჩნდა სხვადასხვა ვაკანსიები. მაგალითად, მე-16 და მე-17 პოზიციაზე განთესილი ქვეყნების (ისრაელისა და შვედეთის) თასების მფლობელებმა მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპიდან გადაინაცვლეს და ასპარეზობას II ეტაპიდან დაიწყებენ. მე-19 და მე-20 პოზიციაზე განთესილები (ავსტრია და კვიპროსი) მე-2 ეტაპის ნაცვლად, ითამაშებენ მე-3 ეტაპიდან.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელი გუნდი, მოლდოვის, ლიტვისა და ლატვიის გუნდების მსგავსად, ასპარეზობას პირველი ეტაპიდან აღარ დაიწყებს და შეჯიბრებაში მე-2 ეტაპიდან ჩაებმება.

ამ ცვლილების შესახებ, წესისამებრ, სფფ-მ უკვე აცნობა საფეხბურთო კლუბ გორის „დილას“ ხელმძღვანელობას.

შედეგები

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

საბერძნეთი-ჩეხეთი	1:2
პოლონეთი-რუსეთი	1:1

მსო-2014. შესახვედრი ეტაპი

ჯონაჯაჯაფი

ანტიგუა და ბარბოდა-იამაიკა	0:0
კანადა-ჰონდურასი	0:0
გაიანა-კოსტა რიკა	0:4
პანამა-კუბა	1:0
სალვადორი-მექსიკა	1:2
გვატემალა-ა.შშ	1:1

აზია

ავსტრალია-იაპონია	1:1
კორეა-ლიბია	3:0
ერაყი-ომანი	1:1
ირანი-ყატარი	0:0

ეჩ-2012 (21)

ყაზახეთი-ლატვია	0:0
რუსეთი-ალბანეთი	0:0
სომხეთი-ანდორა	4:1
ნორვეგია-ისლანდია	2:1

კალათბურთი

ნბა. ფინალი 4 მოგებამდე

ოკლაჰომა-მიამი	105:94
სერიის ანგარიში	1:0

ჩემპიონთა

აგპ. ჰიუ. ბაღახი

ტროიცკი-ბეკერი	6:2;7:6
ჰაასი-ტომიჩი	6:2;6:0
რაონიჩი-ჟან ზე	6:1;6:1
იუჟნი-დოლგოპოლოვი	6:4;3:6;6:3

აგპ. ლონდონი. ბაღახი

დოდიგი-დანჩეკიჩი	6:1;6:0
ბემელმანსი-ყაზარი	6:4;1:6;6:3
ნალბანდიანი-პოსპიშილი	4:6;6:2;6:2
სოედა-ფაუ	6:2;6:2
ჩილიჩი-ებდენი	6:2;6:1
იტო-ლორენცი	7:6;4:6;6:2

ეტა. ბიჰმინგემი. ბაღახი

ფალკონი-კანდანტუ	6:2;6:0
ბარტელი-ბლავაჩკოვა	6:7;2:6
მაკროვა-კარატანჩევა	7:6;6:3
მაკპილი-ვესნინა	1:6;6:1;5:7
ინგკოვიჩი-საუტი	6:1;7:6

შაბრიდა ქანელი ჟორჟოლიანმა

გიორგი თევზაძე: პატიმარმა პროტესტის ნიშნად ყური მოიჭრა“

გულიკო ბალაძე

– საპატიმრო დაწესებულებებში, სამწუხაროდ, კვლავ უხეშად ირღვევა პატიმართა უფლებები, რასაც თან სდევს პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობა საპატიმრო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან. მედიის საშუალებებით არაერთი ფაქტი იქნა გაჟღერებული. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა პატიმრების წამების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის და მათ მიმართ არასათანადო მკურნალობის ფაქტები. ბოლო დროს ჩვენთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ზოგიერთი თანამშრომელი, თითქოსდა წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, აწყობს შემოვლას, შემდეგ გაჰყავთ პატიმრები, აიძულებენ თანამშრომლობას, ხოლო დაუმორჩილებლებს ე.წ. პლასტმასის წყლით სავსე ბოთლით სცემენ თავის არეში, რამაც შესაძლებელია პატიმრის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მძიმე შედეგი გამოიწვიოს. რამდენად კანონიერ და ადამიანურ დამოკიდებულებად შეიძლება ეს ყოველივე ჩაითვალოს? – კითხულობს გიორგი თევზაძე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი თევზაძე სპეციალურ წერილს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში გასაგზავნად. ასევე მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს.

– ჩვენ საგანგებოდ წერილით მივმართავთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს იმ ფაქტებზე შემდგომი რეაგირებისათვის, რომელიც ბოლო პერიოდში ჩვენთვის გახდა ცნობილი. მეორე მხრივ, საქართველოს ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ ვაცნობებთ საერთაშორისო უფლებადამცველ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, – განაცხადა გიორგი თევზაძემ.

ის აცხადებს, რომ ბოლო დროს ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობის ფაქტები გახშირდა.

– ბოლო წლებში, სამწუხაროდ, გაიზარდა სიკვდილიანობის სტატისტიკა, რაც თავისთავად უკავშირდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და მკურნალობის ფაქტებს. ათობით კონკრეტული ფაქტის მოყვანა შემიძლია. წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს: გლდანის მე-18 სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული თემურ ბელქანია, რომელსაც ბრალი ედებოდა 260-ე მუხლით. იგი შიდსით იყო დაავადებული, სასჯელის ზომად შეფარდებული ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. აქედან ორი წელი მოხდილი ჰქონდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შვიდი თვის მანძილზე ე.წ. „სასჯელის გადავადების კომისია“ იხილავდა ბელქანიას სასჯელის გადავადების ან სასჯელისაგან გათავისუფლების განცხადებას. თუმცა, განცხადება არ იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო პატიმარი მალეე გარდაიცვალა. არადა, მისი გათავისუფლების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო სათანადო კურნალოთი ჩატარება და მისი სიცოცხლის გახანგრძლივება. ასევე საინტერესოა ზურაბ დელიანიძის ფაქტი. ეს პიროვნება გარდაიცვალა და მის ოჯახს აქვს ეჭვი, რომ იგი ნაწამებია. დელიანიძე სასჯელს იხდიდა ბათუმში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იგი სამკურნალოდ გადმოიყვანეს თბილისში, გლდანის მე-18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც გარდაიცვალა, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძე პატიმართა გარდაცვალების სხვა ფაქტებზეც საუბრობს, რომელიც სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში მოხდა.

– 2012 წლის 14 თებერვალს სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში 47 წლის პატიმარი ზაზა გიგაური გარდაიცვალა. ზაზა გიგაურის სჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ გადაადგილება არ შეეძლო. იგი ავთვისებიანი სიმსივნით იყო დაავადებული. მეტასტაზები ღვიძლში და ლიმფურ კვანძებში იყო გასული. მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება 2009 წლიდან დაეწყო, მაგრამ სათანადო ყურადღება ადმინისტრაციამ არ მიაქცია. ზაზა გიგაურს 25 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, აქედან 20 წელი მოიხადა.

2012 წლის 13 იანვარს გარდაიცვალა სასჯელაღსრულების №8 სამკურნალო დაწესებულებაში ივანე მენაფორე, რომელიც დაავადებული იყო მეოთხე სტადიის ავთვისებიანი სიმსივნით. პატიმარი დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებდა. მისი ადვოკატი ითხოვდა სამედიცინო ნაწილისაგან ივანე მენაფორის ჯანმრთელობის ისტორიის ამონაწერს. აღნიშნული პატიმრის ვადაზე ადრე განთავისუფლების კომისიისგან გასატარებლად. როგორც მისმა ადვოკატმა შოთა გელაშვილმა განაცხადა, პატიმარს წაართვეს ხელჯოხი, ინვალიდის ეტლი, არ ჩაუტარეს სათანადო სამედიცინო მანიპულაციები, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ მისმა ადვოკატმა კანონის სრული დაცვით მოითხოვა ადმინისტრაციისაგან მისი ჯანმრთელობის ისტორიის ამონაწერი და როდესაც ხელოვნურად გაუჭიანურეს ადვოკატს, მან მიმართა განცხადებით სახალხო დამცველს დახმარებისათვის.

აგრეთვე მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შეურაცხყოფილმა 27 წლის პატიმარმა სერგო ტკილდანიმა ყური მოიჭრა. ასეთი და მსგავსი საგანგაშო და აღმაშფოთებელი ფაქტები არაერთია ჩვენს სინამდვილეში, – აღნიშნავს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძის თქმით, სასჯელაღსრულების სისტემაში თავადვი და ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე გაცილებით დაბალი პრიორიტეტია, ვიდრე რეჟიმის და უსაფრთხოების მოთხოვნები. ასეთი ღირებულებებით, სამწუხაროდ, მუშაობს დღესდღეობით პენიტენციალური სისტემა.

– ბატონო გიორგი, პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა მოისმინა ჯონდი ბაღათურიას წამოდგენილი კანონშეროვექტი ამნისტიის შესახებ, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობამ მას მხარი არ დაუჭირა. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, როგორ აფასებთ ასეთ გადაწყვეტილებას?

– აღნიშნული კანონპროექტი მოამზადა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ. მე ვესწრებოდი აღნიშნულ საკითხზე პარლამენტში გამართულ არასამთავრობო სექტორთან გამართულ შეხვედრებს და მოლიანად მხარს ვუჭერ მომზადებულ კანონპროექტს. მიმაჩნია, რომ იგი არის დროული. ამნისტიის პროექტში არ იყო შეტანილი ძალადობრივი მუხლები, რომელიც ოდნავ მაინც გაამჭვავებდა ქვეყანაში კრიმინოგენურ მდგომარეობას. სამწუხაროდ, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტზე გამოტანილ კანონპროექტს უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. მათ არგუმენტად მოიტანეს ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც თითოდან გამოწვეული არგუმენტია. ფაქტობრივად, ისინი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას გაექცნენ. თითქოსდა ხელისუფლებამ დაიწყო სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკის გატარება, მაგრამ ზემოთ აღნიშნულმა ფაქტმა საფუძვლიანი ეჭვი შექმნა. ალბათ, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზეც უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს კანონპროექტს.

– რამდენად ხორციელდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ განრიდების პროგრამა და რამდენად ლიბერალური მიდგომა აქვთ სახელმწიფო ორგანოებს და რამდენად ადეკვატური სასჯელები გამოიყენება არასრულწლოვანების მიმართ?

– მისასალმებელია არასრულწლოვანთა დეინსტიტუციონალიზაცია და მართლმსაჯულებაში გატარებული რეფორმა. თუმცა, სახეზე გვაქვს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ერთიანი ეროვნული სტრატეგიის არარსებობა. დღემდე პრობლემად რჩება იმ ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვის მიღმა დარჩნენ. 2011 წელს გამოვლინდა ასეულობით მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვი, რომლებიც სახელმწიფოს პასუხისმგებელ უწყებებს, ფაქტობრივად, არც ერთ რეესტრში არ ჰყავდათ დაფიქსირებული. აქ საუბარია სხვადასხვა თავშესაფრებში მცხოვრებ არასრულწლოვნებზე. მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი. სახელმწიფომ კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების დროს აუცილებლად უნდა გათვალისწინოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი. მიზანი უნდა გახდეს მოზარდის არა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გამოსწორება, არამედ მათი საზოგადოების ღირსეულ წევრად მოყალიბებისათვის სახელმწიფოს სისტემური მიდგომა. სამწუხაროდ, 2011 წლის მონაცემებით, ქართულ ციხეებში 199 არასრულწლოვანი ვაჟი და 2 გოგონა იხდის სასჯელს, რაც განრიდებისა და მედიაციის სახელმწიფო პროგრამის მუშაობას ეჭვის ქვეშ აყენებს. ასევე სახეზეა არაადეკვატური მიდგომები და სასჯელები არასრულწლოვნების მიმართ. მაგალითისათვის ისიც საკმარისია, რომ რამდენიმე კვირის წინ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 წლის არასრულწლოვანი სანდრო სარდარიანი მიმდინარე წლის 17 მაისს თბილისში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ნიკორას მაღაზიაში ერთი ბოთლი ლუდის ქურდობისთვის დააკავეს. სასაამართლომ მას ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ამჟამად იგი მოთავსებულია გლდანის №8 სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, რაც თავისთავად იმის მაგალითადაც გამოდგება, რომ ასეთი მიდგომით განრიდების პროგრამა არა თუ ვერ იმუშავებს, არამედ საფრთხეს უქმნის მომავალი თაობის ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბებას.

ადვოკატ გიორგი თევზაძის თქმით, პატიმართა წამებამ მასობრივი ხასიათი მიიღო და ზენიტში ავიდა, ამას დაერთო პატიმართა სიკვდილიანობის ზრდა

ადვოკატი აცხადებს, რომ ხელისუფლებას არ სურს პატიმართა ამნისტია, პარლამენტმა უარი თქვა ამ კანონის განხილვაზე, ხოლო არასრულწლოვან პატიმართა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

2011 წლის მონაცემებით ციხეებში 199 არასრულწლოვანია

ვარძიის ურთულესი ბზარების ინექტირება დაწყებულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გაკონტროლდება, – განაცხადა სააგენტოს ხელმძღვანელმა.

ლაბორატორიის გახსნა და ვარძიაში მიმდინარე ყველაზე რთული ბზარების საკონსერვაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ მოინახულეს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საუწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტების, სამეცნიერო ინსტიტუტების, ცენტრების, საქართველოს საპატრიარქოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სადაც განიხილეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელოვანი საკითხები. განსაკუთრებით აღინიშნა ამ პროცესებში საზოგადოების ფართო ჩართულობის აუცილებლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

– ჩვენ მიერ გამართულ დისკუსიაში გაჟღერდა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, მათ შორის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემაზე მასმედიის საშუალებებით აქტიური საჯარო მსჯელობის დაწყებისა და დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების საჭიროება. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ ხელი მოაწერონ დაცვის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს და რეგულარულად განაგრძონ უწყებათაშორისი შეხვედრები ამ სფეროში ინფორმაციის გაცვლისა და ქმედებების კოორდინაციის მიზნით, – აღნიშნა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ინიციატივით, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში ნოქალაქევის მენეჯმენტ გეგმის განხილვა გაიმართა. სამმა ნორვეგიელმა ექსპერტმა საკუთარი გამოცდილება ქართველ კოლეგებს გაუზიარა. ადგილზე მოხდა მენეჯმენტ გეგმის განახლებული ვერსიის პრეზენტაცია და მომზადდა ახალი რეკომენდაციები.

– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის 2009 წლის 3 ივლისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის მხარდაჭერით 2009 წლის ოქტომბრიდან დაიწყო და ნორვეგიელი პარტნიორების აქტიური მონაწილეობით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახორციელებს ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსისათვის მენეჯმენტ გეგმის შემუშავების საპილოტე პროექტს, რომლის მიზანია საქართველოს ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპლექსური არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის – ნოქალაქევის კულტურული მემკვიდრეობის საიტის მართვის მოდელის შექმნა, რამაც უნდა უზრუნველყოს საიტის ფარგლებში მოქცეული უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური დაცვა, მისი განვითარება, მართვის მექანიზმების გაუმჯობესება, ტურიზმის ხელშეწყობა და თანამედროვე საინფორმაციო-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება, – განაცხადა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო შეუერთდა იუნესკოსა და იკომოსის გადაწყვეტილებას და მსოფლიოსთან ერთად ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღე აღნიშნა. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა კულტურული მემკვიდრეობის სფეროს სპეციალისტებთან ერთად, უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში მიმდინარე სამუშაოები მოინახულა. 2012 წლის გეგმით, უფლისციხეში კლდის არქიტექტურის კონსერვაციის პარალელურად ძეგლზე მოლიანად განახლდება ინფრასტრუქტურა.



ჰორიზონტალი

შვეულად: 1. პოპულარული ტყეპარკი ვენაში; 2. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 3. მოკლე ბენვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. რიიმე სხეულში არსებული ელექტროობის რაოდენობა; 5. იაპონური ფინანსურ-სამრეწველო კონცერნი; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩაცმული მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. მითოლოგიური, ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა; 14. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 16. პატარა იტალიური რესტორანი; 18. ფრანგი კინორეჟისორი; 20. სასვენი ნიშნი გრამატიკაში.

თარაზულად: 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. ჩეხური ნაგაზი; 9. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 11. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ჯიში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 21. ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი; 22. კიდული რკინიგზა; 23. ობიექტურად არსებული სინამდვილე.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯრდტ.ყტ.ეუბ ჰჯოსდჯჰლტ.ბს ბფსეს[ტ.ბ5

ქროსვორდი ა

შვეულად: 1. ექსტაზი; 2. ძელქვა; 3. ბეატრიქსი; 4. ტორესი; 5. ჰელვეცია; 7. აკრი; 11. ლანქერი; 13. ღვარძლი; 15. იბიცა; 16. ვენტა; 18. ნამჯა; 19. იუნგა.

თარაზულად: 6. ქრთამი; 8. გერგეტი; 9. ბორჩალო; 10. არქიელი; 12. ჯანლი; 14. კიბუცი; 17. სტაგნაცია; 20. ღვეზელი; 21. „უცნობი“; 22. ჯუნგლი; 23. ჰამბურგი.

ქროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბიშკეკი; 2. ხაჭაპური; 3. ხანძთა; 4. კეწზო; 5. დინსტია; 8. „ბანდაგანა“; 12. კარე; 13. ენდშპილი; 14. დიდუბე; 16. სიმინდი; 18. ბალეო; 20. ტუში.

თარაზულად: 6. ჩიხირომბა; 7. სკალდები; 8. გუჯარი; 9. „ბედეი“; 10. „მუკუზანი“; 11. ფოეკკარა; 15. ინსინუაცია; 17. „ქემელი“; 19. ბაქმრიანი; 21. გინიოლი; 22. მიკოლოგია; 23. „ციურიხი“.

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სიტუაცია ისევ დაძაბულია

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სიტუაცია ისევ დაძაბულია. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ყველა მხრიდან ირღვევა.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სომხეთის სამხედრო ძალებმა დილის რვა საათიდან დაშქესანის, აღდამის, და ფიზულის რაიონების მიმართულებით ინტენსიური სროლა დაიწყეს, რაზეც აზერბაიჯანელმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა.

სომხეთის თავდაცვის სამინისტრო კი, ცეცხლის გახსნაში აზერბაიჯანულ მხარეს ადანაშაულებს და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე მომატებული დაძაბულობის ფონზე, სომხეთში რუსულმა საჰაერო ძალებმა წვრთნები გაახშირეს. „ნიუ იორკ ტაიმსის“ სტატიის მიხედვით, რუსებმა 2012 წლის განმავლობაში სომხეთის ტერიტორიაზე 300-მდე სასნავლო ფრენა განახორციელეს. ეს რიცხვი წინა წლის, იგივე პერიოდთან შედარებით 20%-ით მეტია.

ასევე აღსანიშნავია სომხეთში რუსული ჯარების პოლკოვნიკ გორბულის განცხადება. მისი თქმით, წვრთნების მთავარი მიზანია პილოტების საბრძოლო ვითარებისთვის მაქსიმალურად მომზადება. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საჰაერო ბრძოლის ტექნიკის დამუშავებაზე.

„ნიუ იორკ ტაიმსის“ მიხედვით, სავარაუდოდ, ეს აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე გახშირებული შეტაკებების გამო ხდება.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანი აქტიურად იარაღდება და სომხეთთან შედარებით მას საგრძნობი უპირატესობა აქვს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ რუსეთის ჩარევის შემთხვევაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. ხოლო რუსეთმა გახშირებული წვრთნებით უკვე მიანიშნა, რომ კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში იგი უბრალოდ დამკვირვებლის სტატუსით არ შემოიფარგლება.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე ინტენსიური სროლები გრძელდება. სროლები აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მიმდინარეობს.

სირიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სირიაში მიმდინარე მოვლენებს სამოქალაქო ომის კვალიფიკაციას ანიჭებს.

– შეიძლება სრული დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ სირიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. თუ გავითვალისწინებთ ბოლო დღეებში განხორციელებულ მასშტაბური ძალადობის ფაქტებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კონფლიქტის „ხასიათის ცვლილება“ აღარ არის, – განაცხადა გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა სამშვიდობო ოპერაციების საქმეში ერვე ლადუსმა.

ლადუსმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სირიელები უკვე გაეროს წარმომადგენლებსაც ესხმიან თავს.

– როდესაც გაეროს წარმომადგენლების მანქანები ქალაქ ალ-ხეფაში მიდიოდნენ, ისინი მაგისტრალზე გამხეცებულმა ადამიანების ჯგუფმა გააჩერა, ისინი სავარაუდოდ, სირიის უბრალო მოქალაქეები იყვნენ. გაჩერებულ მანქანებს მათ ქვები და მეტალის საგნები დაუშინეს. ჩვენ იძულებულები გავხდით, უკან მოვბრუნებულიყავით, – აცხადებს გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი.

ამასთან, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების საქმესთან დაკავშირებით რადხიკ კუმარასვამ „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის, რაც მან სირიაში ნახა, ყოველად წარმოუდგენელია და მას ამის შესახებ დამადასტურებელი მასალაც გააჩნია.

– სირიის შეიარაღებულ კონფლიქტის დროს ორივე მხარე ბავშვებს უმოწყალოდ ექცევა, მათ ხოცავენ, აწამებენ, ჩვენ ვნახეთ ბავშვები წამების კვალით. სირიის განმათავისუფლებელთა არმიის ჯარისკაცები ბავშვებს ტანჯებზე სვამენ, რათა მოწნაალმდეგემ ტანჯს არ ესროლოს. ჩვენ პირველად გავიგეთ იმის შესახებ, რომ აჯანყებულები ბავშვებს დაჭრილების მოსავლელად და მომსახურებისთვის იყენებენ, ისინი კი ამ დროს ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებიან, – ნათქვამია კუმარასვამ მიერ მომზადებულ დასკვნაში.

ჰუმანიტარული მდგომარეობა სირიის ზოგიერთ რაიონში დღითიდღე სერიოზულად უარესდება, ქვეყნის ზოგ რაიონში კი ბრძოლები სულ უფრო და უფრო სასტიკი ხდება. ეს განცხადება საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელმა გააკეთა.

ორგანიზაციის მონაცემებით, მიმდინარე კვირას ასობით ადამიანმა დატოვა ქალაქი ჰომსი, რომელსაც სამთავრობო ჯარები გამუდმებით ცხრილავენ.

მცირე ხნის წინ ქალაქ ხაფას მიდამოებში, რომელიც სირიის სამხრეთით მდებარეობს თავს გაეროს დამკვირვებლებს დაესხნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ რამდენჯერმე ცეცხლი გაუხსნეს, ხოლო ვინ ისროდა ეს ამ დრომდე უცნობი რჩება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გუშინ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთი სირიის რე-

ჟიმს სამხედრო ვერტმფრენებით ამარაგებს და ამით სირიაში არსებული მდგომარეობის ესკალაციას უწყობს ხელს.

– რუსეთს ჩვენ მოვუწოდეთ შეეწყვიტა იარაღის მიწოდება სირიისთვის. რუსეთი ამბობს, რომ შეიარაღება რა მიმდინარეობს და ამის გამო ვაშინგტონმა არ უნდა იღელვოს. შეგვაშფოთა ბოლო ინფორმაციამ რომლის მიხედვით, მთა საბრძოლო ვერტმფრენების მიწოდებაც დაიწყეს. ეს კონფლიქტს კიდევ უფრო ამწვავებს, – განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ბრუკინგის ცენტრში მიმდინარე კონფერენციისას და განცხადა, რომ აშშ-ს მიუღებელია უცხო ქვეყნის მიერ სირიის კონფლიქტში სამხედრო ძალით ჩარევა.

ჰილარი კლინტონი მოსკოვს მოუწოდებს სირიის კონფლიქტთან მიმართებით სამართლიანი პოზიცია დაიკავოს.

მისივე თქმით, რუსეთის მიერ სირიისთვის ვერტმფრენების მიწოდება კონფლიქტს უფრო უფრო გაამწვავებს.

– შეგვაშფოთა ბოლო ინფორმაციამ რომლის მიხედვით, მათ საბრძოლო ვერტმფრენების მიწოდებაც დაიწყეს. ეს კონფლიქტს კიდევ უფრო ამწვავებს, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

პენტაგონის წარმომადგენლის ჯონ კირბის განცხადებით კი, მისთვის ზუსტად არ არის ცნობილი სირიაში გაგზავნილი სამხედრო თვითმფრინაველი არის თუ არა რუსეთიდან წასული.

– სირიის ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ სამხედრო თვითმფრინავებს იყენებს, რაც აბსოლუტურად მიუღებელია, თუმცა ვერ დავაზუსტებ, არის თუ არა ეს რუსული თვითმფრინავები, – განუცხადა ჟურნალისტებს კირბმა.

იანუკოვიჩს ტიმოშენკოზე ეჭვი აქვს

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ვარაუდობს, რომ ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს შესაძლოა, დეპუტატ ევგენი შერბანის მკვლელობასთან კავშირი ჰქონდეს.

ამის შესახებ იანუკოვიჩმა „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში განაცხადა. მისივე თქმით, უკრაინაზე ტიმოშენკოს საქმესთან დაკავშირებით პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებენ, თუმცა მას სურს, პრობლემებას კანონის თვალსაზრისით განიხილავდნენ.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის გენპროკურატურამ მიმდინარე წლის მაისში განაცხადა, რომ ბიზნესმენისა და დეპუტატ ევგენი შერბანის მკვლელობის გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მკვლელობის შემსრულებლის ანგარიშზე 2 მლნ-ზე მეტი დოლარი გადაირიცხა ფირმებიდან, რომლებსაც უკრაინის ექს-პრემიერი იულია ტიმოშენკო აკონტროლებდა. შესაბამისი ბრალდება ტიმოშენკოსთვის ჯერ არ წაუყენებიათ.

მსხვილი საფინანსო კორპორაცია „ატონის“ ხელმძღვანელი, უმაღლესი რადას დეპუტატი ევგენი შერბანი დონეცკის აეროპორტში 1996 წელს მოკლეს. მკვლელის ტყვიით ასევე მისი მეუღლე და აეროპორტის თანამშრომელი დაიღუპნენ.

მეპრიბან ალიევა წლის პირველი ლედი“

თურქულმა ეკონომიკურმა ჟურნალმა „ეკოვიტრინმა“ ნომინაციაში „წლის პირველი ლედი -2011“ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის მეუღლე, იუნესკო-ს და ისესკო-ს მშვიდობის ელჩი, მინი მეჯლისის დეპუტატი მეპრიბან ალიევა დაასახელა.

„წლის პირველი მინისტრის“ ტიტული კი თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრმა ერთთრულული გიუნაიუმ დაიმსახურა.

დაჯილდოვების ცერემონიალი სტამბულში, სასტუმრო „ფრინ პარკში“ გაიმართა. ჟურნალის მფლობელის კიამრან აბაჩიოღლუს განცხადებით, გამოკითხვაში მონაწილეობა თურქეთის პოლიტიკის, ბიზნესისა და ხელოვნების 102-მა წარმომადგენელმა მიიღო.

მეპრიბან ალიევას მაგიერ, საპატონო ჯილდო და პრემია გეიდარ ალიევის სახელობის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ალან ალეკპეროვმა მიიღო. მეპრიბან რიფის ასული ალიევეა (დ. 26 აგვისტო, 1964, ბაქო) – მილი მეჯლისის დეპუტატი, აზერბაიჯანის მეოთხე პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის მეუღლე, კეთილი ნების ელჩი იუნესკო-ში, ოიკ-სა და იოგმკკ-ში.

ალაზბადი გერა ბაბულაშვილმა

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

თბილის ქალაქს გეიდარი დაკლდა...



ორმოცი დღე გავიდა გეიდარის გარდაცვალებიდან.

უფალმა ეს მის სიყვარულში სამას სამოცდახუთ ნაწილად დანაწევრებული ტარიგის – წმ. გიორგის ხსენების დღეს ინება, ამაში ბევრი რამაა ნიშანდობლივი.

კაცთა მოდგმის უკიდეგანო სამყაროში ქართველთა განუმეორებლობას, თავისთავადობას ამკვიდრებენ ღვთისნიერებით, ნიჭითა და სილამაზით გამორჩეული ისეთი პიროვნებები, როგორიც იყო გეიდარ ფალავანდიშვილი.

უბრალოებით, სისადავით, გულისხმიერებითა და სითბოთი გამოირჩეოდა ის ჩოგბურთის კლუბ „დინამოშიც“. შეუდარებელი იყო თავისი აზარტით, გააზრებული ჩოგბურთის თამაშით.

ამ ქალაქში გეიდარი იყო პიროვნება, რომელსაც თბილისის რჩეულკაცობა თვით ღვთით ჰქონდა ნაბოძები.

შვიდი წლის განმავლობაში თელავის საჩოგბურთო ტურნირების სულისჩამდგმელი და მრავალგზის ჩემპიონი გეიდარი იყო.

დაუვიწყარია ჩვენთვის სხვადასხვა დროს გამართული ლხინი, რომელთაც გეიდარი თამადობდა, ეს გამორჩეული ქართველი, უზომოდ შეყვარებული საქართველოსა და სიცოცხლეზე.

ბოლოს 25 მარტს მეიდანზე, რესტორან „ალანში“ გვესტუმრა. თავისი საყვარელი „ლაღე-ლაღეთი“ აგვაცრემლა ყველა, მერე კახური „მრავალჟამიერი“ შემოსძახა, დაგვლოცა, დაგვემშვიდობა და წავიდა. წავიდა და წავიდა...

ჩვენ ისევ დაგვრჩენია, შეევევედროთ უფალს, დაუმკვიდროს გეიდარის სულს ადგილი იქ, სადაც მიხედავს ნაოელი უფლისა!

„დინამოს“ ჩოგბურთელთა კლუბის სახელით:
ა.სოხაძე, გრ.შონია, ზ.კოვზიერაძე,
გ.სახარულიძე, ვ.ქუსარაშვილი, ვ.ანდრეაძე
და სხვები.

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდბკლქტ7 რდბპბც უფკლფ7!@-ლფყ!& ცფფსფვლბ8

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანი და ჩინებული მოქალაქე

გიგი ბარაყანიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მსუბუქი კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველების მუშაკთა პროფესიული კავშირი თანაუგრძნობს ქალბატონ ეთერ მათურელს მამის

ლაზარე მათურელის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების აპარატის პროფკავშირული ორგანიზაცია თანაუგრძნობს გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ ეთერ მათურელს მამის

ლაზარე მათურელის

გარდაცვალების გამო.

ჭუბურხინჯელი მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა ჯაბანია-გასვიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

TV პროგრამა

ხუთშაბათი
14 ივნისი

06.30 მოამზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **09.00**, **12.00**, **16.00**, **20.00** მოამზე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** დოკ. ფილმი "ღმერთი, მეფე და მამული" **13.35** მხ. ფილმი **"კოლივუდელი დედის საიდუმლო"** **15.00** სერ. **"დოდგე და ვაჟი"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.50 ფუხაურიი: ინბალია – ხორავბია** (პირდ.) **22.00** ეკრო-**2012**. მიმოხილვა. **22.35 ფუხაურიი: ესაანეთი – ირლანდია** (პირდ.) **00.45** ევრო-**2012**. მიმოხილვა. **01.45** მხ. ფილმი **"ზიგი რად ჯენრის ფესახეი"** (**12**) (ა. ბენინგი) **03.40** მხ. ფილმი **"ზნეპერსონალური ლარჯეი"** (**12**) **05.30** დოკ.ფს."მსოფლიო ქალაქები"

08.00, **00.00** მოამზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **14.45**, **17.45**, **23.00** ბრაფინგის დროით **10.00**, **19.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **16.00** დოკ. ფილმი **16.45** სერ. **"აარაბითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **20.00** მხ. ფილმი **"ბეთაბეთ"** (ვ. კიდერი) **00.00** მოამზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ.ფ. **"ოფიცერის და ჯენტლმენი"** (**18**) (რ. გირი)

07.30 იმედის დილა **10.05** სერ. **"მოაარული ალფნიერეა"** **11.00**, **11.30**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **01.30**, **05.15**, **07.00** ქრონიკა **11.50** სერ. **"ოაკფლეი აბაკეი"** **12.30** დღის შოუ **14.40** 100 გრადუსი (გან.) **17.40** სერ. **"ბეთაფული ცა"** **18.40** სერ. **"ფორინაციული სასალიდ"** **21.00** სერ. **"ბეთაკიდერაკეი"** **22.00** სერ. **"ფუა ქალაკეი 3"** **23.00** "მან სან კანის" ჩემპიონთა ლიგა **00.30** თბილისი ლიგი **01.55** მხ. ფილმი **ეკრობეური"** **03.25** მხ. ფ. **"ფუაალეკეეა საკაურიელი"** (ს. სიგალი) **05.15** მუსიკა. **06.30** სერ. **"ფორინაციის საფასური"**

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ.**"ეჟეი და სიყვარული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** თქვენი შოუ **17.00** სერ. **"ბერეეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ.**"ელუარი ყვაეიელი"** **22.00** პროფილი **23.30** შიშის ფაქტორი **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტრტ.)

08.00 ან. ფილმი **08.55** სერ. **"ბარია ეგილია"** **09.45**, **12.00**, **15.15**, **17.00** ტკ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"ანი, ფლანგ სანფრანციოს მამულიდან"** **13.00** ძმესაშორისო (პირდ.) **15.30** ულალი (გან.) **16.00** იაფფიერი ფეხბურთითი **17.10** სერ. **"ფილუარ ამეიარ"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ანიკალეა ამინ"** **21.00** სერ.**"ბაუხსნილი საძმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

08.30, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ.**"სპოლის მეგარეარა"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10**, **14.10**, **17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40**, **15.00**, **18.00** ფორეულის გაკვეთილი **11.50**, **21.25** სერ. **"საბა"** **12.50**, **19.35** სერ.**"ბაფიიოზა"** **13.50** სცენა **15.15** სერ. **"საიდუმლო ბაკინტების თაკეგადასაკეი"** **16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00**, **18.05**, **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35**, **21.20** ლექსით ქებასა ქება **10.40** დოკ. ფილმი "დიმიტრი შევარნაძე". **11.00** მოკ. ფილმი **"ქიქირა"**. **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდეზის ლოგა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.15** მხ. ფილმი **"სანაა წვიმა ბაღიმალიდან"**, **13.40** კონცერტი – მამუკა ჩარკვიანი. **15.05**, **18.53**, **22.55** ერთი ნიკოის ისტორია. **15.10** ანთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** დოკ. ფილმი ველური ბუნება" **16.25** მხ. ფილმი **"ლუსი"** **18.10** **100** ქართული სიმღერა. **18.20** აქტუალური თემა. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"ბანაკაში"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ერთსულოვნების სალონი **22.20** ამაღლება. **22.35**, **23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **23.00** საღამოს ლოცვა **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** მხ. ფილმი **"საბარალიანი"** **2**-ნან.

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 ivnisi

აშშ დოლარი — 1,6340	ევრო —2,0441
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5626	რუსული რუბლი — 0,0549

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 10-14

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-10

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-23, ღამით — 7-9

ამინდის პროგნოზი 14 ივნისისთვის



14 ივნისიდან!
დიდი საზაფხულო აქცია
ქართული მნერლობის საუნჯე
„ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი

საქართველოსა და აზერბაიჯანის მორიგი სამუშაო შეხვედრა 5 ივლისს გაიმართება

რამდენიმე კვირის წინ, საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციებმა გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა, რათა ევროპული საფეხბურთო ოჯახის მმართველ ორგანოს 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით ერთობლივი განაცხადი მიმართონ.

1 ივნისს ბათუმში გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა აზერბაიჯანისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნების მონაწილეობით. როგორც მოგეხსენებათ, ამ შეხვედრაზე, ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმდნენ. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შექმნა და მისი მუშაობის კოორდინაცია ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციების გენერალურ მდივნებს – რევაზ არველაძესა და ელხან მამადოვს დაევალათ.

ამ დროისათვის უკვე გაიმართა რამდენიმე სატელეფონო კონფერენცია სფფ-ისა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს შორის, რომლის დროსაც განხილულ იქნა განაცხადის შეტანისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის დეტალები.

მიმდინარე წლის 30 ივნისს კიევში, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართება. ამ სხდომაზე მოხდება შესაძლო კანდიდატების წინასწარი განხილვა და გაირკვევა ევრო 2020-ის შესარჩევი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოებისა და კანდიდატი ქვეყნებისათვის უეფას მიერ დამტკიცებული აუცილებელი მოთხოვნების ნუსხის დეტალები. უეფას აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული ევრო 2020-ის კანდიდატი ქვეყნებისათვის შესასრულებელი მოთხოვნების ნუსხა ბეჭდური სახით კანდიდატ ქვეყნებს დამტკიცებიდან უახლოეს დღეებში დაეგზავნებათ. სწორედ, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მოხდება საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი საკითხების დაგეგმვა.

შემდგომი სამუშაო შეხვედრა, ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციების გენერალური მდივნების მონაწილეობით 5 ივლისს, ქალაქ ბაქოში გაიმართება.

შ. უ.

ვანო ჯავახიშვილს ოქროს ფრთა“ მიანიჭეს

ეკა ირემაშვილი

საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში „ოქროს ფრთის“ რიგი მეათე საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა „ოქროს ფრთამ“, რომელიც ათი წლის წინ ეთერ ჯიშკარიანმა ჩამოაყალიბა, გამარჯვებულები 18 ნომინაციაში გამოავლინა და მათ სპეციალური „ოქროს ფრთა“ და სამახსოვრო სიგელები საზეიმო ვითარებაში გადასცა. „ოქროს ფრთით“ დაჯილდოვდნენ სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები და საინტერესო პროექტების ავტორები.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი წელს გაზეთ „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი თაკო ფხაკაძე გახდა, რომელმაც ცერემონიას პირველად უხელმძღვანელა. ლონისძიებას ჰყავდა ჟიური რუსუდან ფეტვიაშვილის, ნოდარ ტაბიძის, გიორგი კალანდიას, თეონა დოლენჯაშვილის, გია ბუღაძის, ზაალ სამადაშვილის, ლევან ვარდოსანიძის, ქეთი მატბაღლისა და მისი თავმჯდომარის ნუგზარ რუხაძის შემადგენლობით.

– ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა“ 2003 წელს დაარსდა. ფონდმა დღემდე არაერთი ჟურნალი, გაზეთი და კრებული გამოსცა. გარდა ამისა, ფონდის ინიციატივით ყოველწლიურად ტარდებოდა დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც „ოქროს ფრთა“ გადაეცემოდათ ჟურნალისტებს, ბიზნესმენებს, საზოგადო მოღვაწეებს, ყველა იმ ადამიანს, რომელიც ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა. წელს „ოქროს ფრთა“

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფასეულ უფროსდეფაცოობაყსა

fanhjghjuyjob 13 ბეყბეკბსბეს

ეს დღე სიხარულს მოგვიტანთ **ვერძი** – მხიარული დღეა, საწადელს მიიღწევთ. **ჯარი** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულის საქმეში იმედგაცრუება არ მოგწონთ, ამიტომ ეცადეთ გამოსწორდეთ. **ლომი** – ბრწყინვალე ფორმაში ხართ და ყველას ყურადღებას იპყრობთ. **ქალწული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, ამ დღეს ელოდით. **სასწორი** – ფიქრებში ხართ, სიტუაციის გაანალიზებას ცდილობთ. **ღრმა ნაკადი** – ფულს შოულობთ, შვებით ამოისუნთქავთ. **მშვილდოსანი** – საქმე კარგად წაგიგავთ, გახარებული ხართ. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვას კარგ მაგალითს აძლევთ. **მერწყული** – პრივილეგიას ადვილად შეელიეთ, რადგან სხვა საქმე გამოჩნდა. **თევზები** – გზიდან ფულს მიიღებთ, რაც ბევრ პრობლემას მოგიგვარებთ.

უბსეჰდ.ს .ტლუბტ ლქტს=

ჰჰxსეxჰ=ს ბ თ

შვეულად: 1. ადამიანის თავის მქონე, მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 2. ყურძნის სხვადასხვა ჯიშების შერევა ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად; 3. უკრაინის ჰეტმანი, ეროვნული გმირი; 4. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 5. თანაგრძნობა, კეთილი განწყობილება ვინმესადმი; 7. იაპონური ლექსის ერთ-ერთი სახეობა; 11. სამრეკი. ამერიკაში გავრცელებული ლამისებრივი ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 13. ქართული მოხარშული და გადაზელილი ყველი; 15. სქელი ქაღალდი; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ბანდიტის, ხულიგნის, ქურდის ძველებური სახელწოდება საფრანგეთში; 19. პირველი ავტომობილის შემქმნელი გერმანელი ინჟინერი.

თარაზულად: 6. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 8. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისაკენ, გაუმაძღრობა; 9. ასანეის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ფულის ერთეული ირანში; 14. კუთხე საქართველოში; 17. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ; 20. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 21. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 22. სახელმწიფო სკანდინავიაში; 23. პოლონური სამეჯლისო ცეკვა.

შეადგინა თ. გოგანაშვილმა



6 ივნისიდან

ეუბრფკეეპბ გჰჯბფმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 25-ე ტომი

ნფნხფპბ

3I)) ობუყიბ4 იტლბს
ბ3 ფლფვბფყსფ ,ბჯუჰფაბტ,ბ7
ჰxვტსსფნ ლბლბ hლფყბ ლფნxლტს
ვსxაუბx გxუბნბhფიბ7
ვტნყბტჰტ,ფსფ ლფ hუუნეჰფიბ8

უფპფსბ ლფ ობუყბ ტჰსფლ * კფჰბ